ეროვნული ბიბლიოთეკა


# საარბიელო

სპორტული გაზეთი შაბათი 23 ივნისი 2007 №142 (3065) ფასი 50 თეთრი


## უცნაური ისტორია ზედიზედ ორჯერ გადადებული რეისით
# ზესტაფონი ყაზახეთში ვერა და ვერ გაფრინდა!
## არადა, დღეს უკვე თამაშია...



თემურ მახარაძის გუნდს პრობლემები მიეძალა

უცნაური ამბავი შეემთხვა „ზესტაფონს": გუნდი გუშინ სალამოს 19 საათზე უნდა გაფრენილიყო ყაზახეთში, თუმც თვითმფრინავთან დაკავშირებული პრობლემების გამო ჩარტერული რეისი შუაღამისთვის გადაიდო.

„ზესტაფონიც" თბილისის აეროპორტიდან ისევ სასტუმროსკენ გამობრუნდა.

და თქვენ გგონიათ, იმერლები 1 საათზე გაფრინდნენ? რეისი ისევ გადაიდო. ზუსტად ვერ გეტყვით, ამჯერად რატომ ვერ გაფრინდა „ზესტაფონი" კუშტანაიში, მაგრამ ითქვა, მწვრთნელები ფეხბურთელების შუაღამით წამოშლას და ძილის დაფრთხობას მოერიდნენო.

მოკლედ, ასეა თუ ისე, წუხელ გადაწყდა, რომ ზესტაფონელები ამ დილით 8 საათზე გაფრინდებოდნენ. ანუ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ჩავლენ კუშტანაიში.

შეგახსენებთ, დღეს „ზესტაფონი" ინტერტოტოს თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გამართავს კუშტანაის „ტობოლთან".

თუ გახსოვთ, 2003 წელს ინტერტოტოზევე „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე, ავსტრიული „პაშინგი" სულაც მატჩამდე 3-4 საათით ადრე ჩამოფრინდა თბილისში, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასვლა მაინც შეძლო.

იმედია, გუშინდელი პრობლემა იმერლებს „ტობოლთან" თამაშისას ხელს ვერ დაატყობს...

**ოთარ მაღლაკელიძე**

# დღეს რამიშვილს მიულოცავენ
## პროფლიგის პრეზიდენტად პროფლიგის პრეზიდენტს აირჩევენ

დღეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენციაა, რომელზეც მთავარი ამბავი ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტის არჩევნებია. თუმცა ეს არ იქნება საინტერესო არჩევნები — მოქმედ პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს არც ალტერნატივა ჰყავს და, როგორც ვიცით, არც მისი მუშაობით არის ვინმე უკმაყოფილო და თუ რატომ, ერთხელაც ჩამოვთვლით: სუპერთასის აღდგენა და სპონსორისა და საპრიზო ფონდის მოძიება; საქართველოს თასზე საპრიზო ფონდის დაწესება; საფეხბურთო ლატარიის მოწყობა; მასშტაბური სარეკლამო კამპანია...

ერთი სიტყვით, დიმიტრი რამიშვილს პრეზიდენტად მეორედ არჩევა ახლავე შეგვიძლია, მივულოცოთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტობოლმა ზესტაფონის ისტორიას ჩაუკირკიტა

## გოცირიძე ბენაშვილის ნაცვლად

დღეს 2007-2008 წლების ევროტურნირების სეზონი იწყება და ქართველებიც იწყებენ: ყაზახურ კუშტანაიში „ტობოლი“ — „ზესტაფონის“, ინტერტოტოს თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი.

„ტობოლის“ ავან-ჩავანზე აქამდეც დაგვიწერია და ბევრს აღარ მოვყვებით: მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ყაზახეთის მიმდინარე ჩემპიონატში მესამე ადგილზეა — მეორეზე იყო, მაგრამ ბოლო ტურში ყარაგანდის „შახტიორთან“ 1:3 წააგო.

ახლა კი, რას წერს კუშტანაიური კლუბის ვებგვერდი „ზესტაფონზე“:

„მეტოქედ ახალგაზრდა კლუბი გვყავს. „ზესტაფონი“ 2004 წელს ქარხანა „ფეროს“ აქციონერების ინიციატივით დაარსდა, თუმც ამ ქალაქს საფეხბურთო ისტორია აქვს. კლუბს სულ ადრე „მერცხალი“, მერე კი „მეტალურგი“ ერქვა, რომელიც სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი და ერთხელ ქვეყნის თასიც მოიგო. თუმც ეს საბჭოეთის პერიოდში იყო, როცა საქართველოს საუკეთესო კლუბები სსრკ-ის უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგაში თამაშობდნენ. აღსანიშნავია, რომ „ზესტაფონმა“ ზედიზედ სამჯერ წააგო საქართველოს თასის ფინალი. ეროვნულ ჩემპიონატში კი ამ გუნდმა მხოლოდ ერთხელ წააგო, ისევე, როგორც ჩემპიონმა „ოლიმპმა“. მეტოქეს კარგი შემადგენლობა ჰყავს, მაგალითად, უკრაინულ „ტავრიაში“ ნათამაშევი მეკარე გრიგოლ ჭანტურია და თავდამსხმელი ზურაბ იონანიძე, ასევე მოსკოვის „ტორპედოს“ ყოფილი მცველი ედიკ საჯაია“.

ახლა კი „ზესტაფონზეც“: თემურ მახარაძის გუნდი გუშინ საღამოს უნდა გაფრენილიყო ყაზახეთში, თუმცა ამის თაობაზე პირველი გვერდიდან უკვე გეცოდინებათ. იმას კი გეტყვით, რომ ჩვენებურთა შემადგენლობაში ერთი ცვლილება მოხდა — ნახევარმცველ ალექსი ბენაშვილის ნაცვლად, სატობოლო 20-კაციან სიაში თავდამსხმელი ბექა გოცირიძე ჩაჯდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ახლა ლეშაკი: დინამო უცხოელებით ივსება

## მოდიან, მოდიან და კიდევ მოვლენ

თბილისის „დინამოს“ გუშინ კიდევ ერთი უცხოელი ფეხბურთელი შეემატა. 31 წლის ჩეხი მიხალ ლეშაკი თბილისში გამთენიისას ჩამოვიდა, დილით კი დიღმის ბაზაზე გუნდთან ერთად ივარჯიშა.

ლეშაკმა „დინამოს“ ჩეხეთის გამბრინუს ლიგიდან წლეულს გავარდნილი „პრჟიბრამიდან“ ჩამოაკითხა და ერთი-ორი სეზონი ალბათ აქვე დარჩება. მართალია, „დინამოში“ ჯერჯერობით ამბობენ, რომ ეს ჩეხი ფეხბურთელი გასინჯვაზეაო, მაგრამ თუ ამ ფეხბურთელის ასაკსა და გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ნაკლებად მოსალოდნელია, დუშან უჰრინმა თვისტომი უკან გააბრუნოს. მით უმეტეს, უჰრინს ლეშაკის რამდენიმე თამაში ჩეხეთის ჩემპიონატში ნანახი აქვს და თვალში რომ არ მოსვლოდა, არც მოიწვევდა.



მიხალ ლეშაკი მარცხენა მცველია და „დინამოს“ მწვრთნელს ის გიორგი შაშიაშვილის შემცვლელად სჭირდება. შაშიაშვილი კი, თავის მხრივ, ავსტრიულ „შტურმში“ წავიდა და დღეს-ხვალ ალბათ კონტრაქტსაც გააფორმებს.

ჩეხ მცველს „პრჟიბრამში“ 126-ჯერ აქვს ნათამაშევი და 7 გოლი გატანილი. „პრჟიბრამამდე“ კი ლეშაკი რამდენიმე ჩეხურ გუნდში იყო, მათ შორის, „ბანიკში“ და „ბოჰემიანსში“. 180 სანტიმეტრი სიმაღლის ჯანმაგარი ფეხბურთელია.

სხვა ქართულ გუნდებში განთხოვრებულ და დაბრუნებულ, ასევე ტყუპ ძმებ ვალტერ და პავლე ხორგუაშვილებისა და ოლეგ გველესიანის ჩაუთვლელად, მიხალ ლეშაკი ამ მოსამზადებელ პერიოდში „დინამოსთვის“ უკვე მესამე უცხოელი ფეხბურთელია. ჩეხამდე „დინამოში“ 23 წლის კამერუნელი ფორვარდი რაიმონდ ვოუკოუე და 24 წლის გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო ჩამოვიდნენ და მათ უკვე ორმხრივ მატჩიც ითამაშეს.

თბილისელები 26 ივნისს ორკვირიან შეკრებაზე გერმანიაში მიდიან და იქამდე რამდენიმე უცხოელს კიდევ ელიან, რამდენიმეც „დინამოს“ გერმანიაში შეუერთდება. მოკლედ, უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებამდე უჰრინს, იცოცხლეთ, ბლომად საქმე ექნება.

დღეს „დინამო“ დიღმის ბაზაზე „ლოკომოტივს“ ეთამაშება, ზეგ — „ამერს“. ამ მატჩებში უჰრინი ალბათ ყველა ახალ უცხოელს ათამაშებს. დანარჩენს კი მერე ვნახავთ...

**ჭობა ინასარიძე**



სარბიელელები ვულოცავთ
საქართველოს ნაკრებისა
და გერმანული „კარლსრუეს“
თავდამსხმელს
ალექსანდრე იაშვილს ვაჟის
თომას
დაბადებას!
ჯანმრთელი, ბედნიერი
და სასახელო ვაჟკაცი
გაზრდილიყოს!





დიმიტრი ბოკერია და ლევან კასრაძე

# სკოლბურთი პეპსის ქობულეთში დალევს

26-28 ივნისს ქობულეთში „პეპსის თასის“ ფინალური ეტაპი გაიმართება სკოლბურთში. ტურნირი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეზოს ფეხბურთის ასოციაციის, თბილისის მერიის, მეცნიერების და განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების თაოსნობით ტარდება. გენერალური სპონსორი კი კომპანია „პეპსია“.

ფინალურ ეტაპზე 16 გუნდი ითამაშებს. თბილისის ხუთი: გლდანი-ნაძალადევის (159-ე სკოლა), ისან-სამგორის (87-ე), ვაკე-საბურთალოს (157-ე), დიდუბე-ჩუღურეთის (155-ე) და მთაწმინდა-კრწანისის (სოფელ კრწანისის სკოლა) რაიონების, აგრეთვე ნინოწმინდის (კახეთი), მცხეთის (მცხეთა-მთიანეთი), ოზურგეთის (გურია), ქუთაისის (იმერეთი), ზუგდიდის (სამეგრელო-ზემო სვანეთი), ამბროლაურის (რაჭა-ლეჩხუმი), ახალციხის (სამცხე-ჯავახეთი), ბოლნისის (ქვემო ქართლი), ქობულეთის (აჭარა), გორის (შიდა ქართლი), ერედვის (სამაჩაბლო) საჯარო სკოლის ის გუნდები, რომლებმაც თავიანთ რეგიონებში იმარჯვეს.

ერედვის სკოლა უკონკურსოდაა, რომელსაც ზემო აფხაზეთის რეგიონში გამარჯვებულის ნაცვლად დაუთმეს ადგილი. აფხაზეთიდან ფინანსური და სატრანსპორტო პრობლემების გამო ვერ ხერხდება ბავშვების ზღვისპირეთში ჩაყვანა.

ფინალურ ეტაპთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა...

ლევან კასრაძე (კომპანია „პეპსის“ გენერალური მენეჯერი): კომპანია შედეგებით კმაყოფილია. შარშანდელთან შედარებით წლეულს დიდ მასშტაბებს ვგეგმავდით, თუმც მონაწილეთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა. ორგანიზატორებთან ურთიერთობას დადებითად ვაფასებთ და ამ თანამშრომლობას აუცილებლად გავაგრძელებთ.

დიმიტრი ბოკერია (ეზოს ფეხბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი): ფინალური ეტაპი ქობულეთში გაიმართება და 28 ივნისს დასრულდება, სადაც გამარჯვებულთა დაჯილდოვებაც მოეწყობა. წლეულს ტურნირი ძალიან მასშტაბური იყო — 1090 სკოლის 11 000 ბავშვი მონაწილეობდა. სამომავლოდ კიდევ უფრო მეტს ველით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ხვალ ქალთა ჩემპიონატი იწყება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით, ხვალიდან ქვეყნის მეორე ჩემპიონატი დაიწყება ქალ ფეხბურთელთა შორის. ოთხგუნდიან პირველობას ლაგოდეხი და ჭაბუკიანი უმასპინძლებენ.

ჩემპიონატში თბილისის, აჭარის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნაკრებები ითამაშებენ. პირველობა ორ წრედ ჩატარდება 23-29 ივნისს. 26-ში დასვენების დღეა.

საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაკომპლექტდება საქართველოს 17 და 19-წლამდელ ფეხბურთელ გოგონათა ნაკრებები, რომლებიც 30 ივნისს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

საქართველოს მეორე ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალი ხვალ შედგება ლაგოდეხში.

შეგახსენებთ, რომ სფფ-ის ეგიდით ქალ ფეხბურთელთა შორის ქვეყნის პირველი ჩემპიონატი შარშან, 6-14 ივლისს ჩატარდა ქობულეთში, ჩემპიონობა თბილისის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც 1:0 სძლია აჭარის ნაკრებს.

**ოთარ მხეიძე**

### რუსეთი

პრემიერლიგა
XIV ტური

სპარტაკი 2:0 სატურნი

### აშშ

MLS
XIII ტური

ჰიუსტონი 4:0 ჩივასი

### ამხანაგური მატჩები

მალაიზია 1:3 საამიროები
რიდი 2:1 აპოელი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XV ტური

ბრეი 0:0 სენტ პატრიკსი
დერი 0:1 დროჰედა
გალვეი 1:1 შემროკი
დუბლინი 0:2 სლიგო

### კონკაკაფის ოქროს თასი 2007

ნახევარფინალი

კანადა 1:2 აშშ
მექსიკა 1:0 გვადალუპე

# ამერმა ბორჯომი მოიარა

თბილისის „ამერმა“ ახალი სეზონის სამზადისის პირველი ეტაპი გუშინ დაამთავრა. შეგახსენებთ, რომ გუნდმა პირველი შეკრება ბორჯომში გაიარა, სადაც 10 დღე დაჰყო.

ბორჯომული შეკრების თაობაზე კომენტარი „ამერის“ მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს ვთხოვეთ:

— კმაყოფილები ვართ, ნაყოფიერი შეკრება გამოვიდა. ძირითადი აქცენტი ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე გვქონდა და დილის ვარჯიშები სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, ბუნებაში, საუკეთესო ადგილებში ვვარჯიშობდით...

...საღამოს ვარჯიშებს „ბორჯომის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვატარებდით და მეტ ყურადღებას ტექნიკა-ტაქტიკურ კომპონენტებს ვუთმობდით...

...ახალწვეულთა მუშაობით კმაყოფილი ვარ. ყველამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მთავარი მაინც საკონტროლო მატჩებია და დიდი იმედი მაქვს, არც იქ დავრჩები უკმაყოფილო.

აი, ეს იყო, რაც გიორგი ჩიხრაძემ გვითხრა და რაც შეეხება საკონტროლო შეხვედრებს: 25 ივნისს „ამერი“ და „დინამო“ აპირებენ ერთმანეთში სპარინგს, მომდევნო თამაშებს კი ამერელები უკვე მეორე, ჩეხურ შეკრებაზე გამართავენ. შეგახსენებთ, რომ ჩეხეთში „ამერს“ „სპარტასთან“, „სლავიასთან“, „ლიბერეცთან“ და „პლზენთან“ აქვს დაგეგმილი მატჩები.

**კოტე კეკელია**

თბილისის „ამერმა“ პირველი შეკრება გაიარა და ახლა ფეხბურთელებს ორდღიანი დასვენება აქვთ. ბორჯომულ შეკრებაზე გუნდთან ერთად რამდენიმე ახალწვეულიც იყო, მათ შორის, ბოლნისის „სიონიდან“ გადასული არჩილ ალავიძე, რომელმაც გლდანელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ალავიძე შარშან „სიონის“ საკვანძო ფიგურა იყო და ჩემპიონატში „ამერს“ შესანიშნავი გოლიც გაუტანა საჯარიმო დარტყმით. შეკრებიდან დაბრუნებულ ფეხბურთელს ამერულ შთაბეჭდილებებზე ვესაუბრეთ...



# ყველაფერი ისეა, როგორც ველოდი

## არჩილ ალავიძე ამერში ჩაეწერა

— გუნდს კარგად შევეწყვე. ფეხბურთელებთან მანამდეც ვახლობლობდი და მათთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. საერთოდ, კარგად მიმიღეს და ყველას მადლობელი ვარ. ხელმძღვანელობაც ძალიან ყურადღებიანია.

— მოსამზადებელმა ეტაპმა როგორ ჩაიარა?

— ყურადღება უფრო ფიზიკურ მომზადებაზე გვქონდა გადატანილი, თუმც ბურთთან ურთიერთობაც გვიხდებოდა. ყველაფერი გავაკეთეთ, რათა შეკრება ნაყოფიერად გამოგვეყენებინა.

— ამპლუით მარცხენა ნახევარმცველი ხარ. „ამერში“ ამ ადგილზე გიორგი დეკანოსიძე და გიზო ჯელაძე თამაშობენ. საკმაოდ ძლიერი კონკურენტები გყავს...

— კონკურენცია არ მაშინებს. პირიქით, სტიმულს მაძლევს, რათა მეტი მონდომებით ვივარჯიშო. რაც შეეხება ძირითადში მოხვედრას, ვინც უკეთესად იქნება მომზადებული, ის ითამაშებს.

— გიორგი ჩიხრაძე ახლახან წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. რა შეამჩნიე განსაკუთრებული?

— კარგი პიროვნება და მწვრთნელია. რაც „ამერმა“ ბოლო სეზონში მოიგო, ასეთი მიღწევებით ვერც ერთი მწვრთნელი ვერ დაიკვეხნის.

— საერთოდ, „ამერზე“ რას იტყვი?

— ეს გუნდი ერთი დღით არ ცხოვრობს და ყოველდღე უმატებს.

— გასულ სეზონში „ამერს“ ხუთჯერ შეხვდით, ყველაზე დასამახსოვრებელი და დაძაბული ალბათ თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი იყო...

— ასეა. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვქონდა და ლაღად ვითამაშეთ, თან გვინდოდა მაყურებელი გვესიამოვნებინა. ორი გოლის შემდეგ კი გამოჩნდა, რომ შედეგზეც შეიძლებოდა ფიქრი, მაგრამ... ვფიქრობ, „ამერმა“ საქმე მოთავებულად ჩათვალა და მოეშვა.

— სადაცაა, ახალი სეზონიც დაიწყება. ფავორიტად რომელ გუნდებს მიიჩნევ?

— რა თქმა უნდა, „ამერს“, შემდეგ „ზესტაფონს“...

— შარშანდელ ჩემპიონსა და მეორეადგილოსანს?

— „ამერი“, „ზესტაფონი“, „ოლიმპი“ და „დინამო“ — ოთხივე კარგი გუნდია. გასულ ჩემპიონატში საკმაოდ საინტერესო ბრძოლები იყო და ალბათ მომავალ სეზონშიც ასე იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აკვასაგა რუსთავში

## გაბონელმა ჩემპიონსაც ჩამოაკითხა

რუსთავის „ოლიმპი“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის გაძლიერებას აპირებს და უკვე ლეგიონერთა გასინჯვასაც იწყებს.

გუშინ საქართველოში გაბონელი ერნესტ აკვასაგა ჩამოვიდა, ვინც „ოლიმპში“ ივარჯიშებს და თუ მწვრთნელს თავი მოაწონა, კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

აკვასაგა 21 წლისაა, ამპლუით მცველი. ნათამაშები აქვს თავისი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებში და ახლა საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ალან ჟირესის შეგირდია გაბონის ეროვნულ გუნდში.

აკვასაგა საქართველოს გია გურულის რეკომენდაციით ეწვია.

სხვათა შორის, რუსთაველები მარტო ერნესტ აკვასაგას ჩამოსვლით არ კმაყოფილდებიან და ამ დღეებში კიდევ ოთხ-ხუთ ლეგიონერს ელიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბორჯომში ახალი არაფერი: ძველებურად უფულობა



ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია „ბორჯომის“ მდგომარეობა.

ხუთიოდე დღის წინ კურორტელთა მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ გვითხრა, გუნდი 22 ივნისს შეიკრიბება და ამ დროისთვის ფინანსური მდგომარეობაც გვეცოდინებაო. გუშინ მას სწორედ ამ ამბის გასარკვევად შევეხმიანეთ, თუმც სასიკეთო და საგულისხმო ვერაფერი გვითხრა:

„ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა. ამის გამო შეკრებაც გადავდეთ, მაგრამ ასეთ სიტუაციაში „ბორჯომი“ ხშირად ყოფილა და არ გვიკვირს. ცუდი ისაა, რომ ჩემპიონატისთვის მომზადებას ვაგვიანებთ.“

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მგლები ვიქნებით ყველასთან

## ზუგდიდმა შეკრებები და ფეხბურთელები დაგეგმა

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ზუგდიდის „მგლები“ ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც ელიტაში თამაშის პრობლემა არ აქვს. კლუბი ფინანსურად ლონივრადაა და სპონსორების მხარდაჭერით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. მაშინ, როდესაც უმაღლესლიგელი გუნდების უმრავლესობას ახალი სეზონისთვის მზადებაც არ დაუწყიათ, დებიუტანტები უკვე შრომობენ. ზუგდიდელთა სამზადისსა და სამომავლო მიზნებზე სასაუბროდ „მგლების“ მწვრთნელ ბესიკ შეროზიას დავუკავშირდით...



— ფეხბურთელებმა უკვე გაიარეს სამედიცინო შემოწმება და მომზადების პირველი ეტაპიც ზუგდიდში დავიწყეთ. 27 ივნისიდან ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში გავივლით მეორე ეტაპს. იქ მშვენიერი პირობებია გუნდის ფიზიკურად მომზადებისთვის. დაგეგმილი გვაქვს ურეკში წასვლაც. ამ ეტაპს გუნდის შეთამაშებისათვის გამოვიყენებთ და რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც გავმართავთ. ბოლო ეტაპს კი ისევ ზუგდიდში გავივლით და მერე ჩემპიონატიც დაიწყება.

— საქართველოში გუნდების უმრავლესობა ფინანსურ კრიზისს განიცდის. „მგლების“ მდგომარეობა როგორია?

— სპონსორები გვაფინანსებენ და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, შეკრება, ეკიპირება ან ფეხბურთელების ხელფასები დაგვიანებულიყოს. მართალია, გადასარევი ფინანსური მდგომარეობა არ გვაქვს, მაგრამ საქართველოს საშუალო გუნდისთვის საკმარისია.

— საუმაღლესლიგოდ გუნდის გაძლიერებას არ გეგმავთ?

— ძველი კონტიგენტი თითქმის უცვლელი დარჩა, გვყავს ახალწვეულებიც. „ოლიმპიდან“ გადმოვიყვანეთ მცველი მაჭავარიანი, „სიონიდან“ ზურაბ ექონია, კონტრაქტი გავუფორმეთ რევაზ ჯიქიასაც, რომელიც ბოლოს თურქეთში თამაშობდა. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ გელა ხუბუასთან და გიორგი კრასოვსკისთან. აგრეთვე კიდევ გვაქვს რამდენიმე ფეხბურთელთან შეთავაზებები, მაგრამ ამ დროისთვის მათ გვარებს ვერ დავასახელებ.

— ხელმძღვანელობამ რა მიზნები დაგისახათ?

— წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს, თუმც ერთს გეტყვით — არც ჩემპიონატის და არც სათასო მატჩებში „მგლები“ ფარ-ხმალს არავისთან დაყრის. სულერთია, ეს იქნება საშინაო თუ გასვლითი თამაშები. ხელწამოსაკრავი გუნდი არავისთვის ვიქნები.

— თამაშით სად ითამაშებთ, ისევ ძველ სტადიონზე?

— არა, ცენტრალური სტადიონი მაღალ დონეზე კეთდება, მაგრამ მის დასრულებამდე დროა, თუმც მოცდას არ ვაპირებთ. ახალი სეზონისთვის ცალ მხარეს 5000-იანი ტრიბუნა მზად იქნება და თამაშიც შეგვეძლება. საბოლოოდ, კი სტადიონი 18 000-იანი უნდა გამოვიდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტვა-საფრანგეთთან მარცხი ჩვენი, ფეხბურთელების ბრალია

„ბოლო ორი სანაკრებო თამაში ცუდად ჩავატარეთ და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ კვალიფიციური ფეხბურთელების დეფიციტი გვაქვს" — ეს ზურაბ ხიზანიშვილმა გვითხრა, რომელიც ამჟამად თბილისშია და „ბლექბერნს" მალე უნდა შეუერთდეს. ვერ ჰქონდა ხიზანიშვილს წარმატებული სეზონი, ვერც ინგლისში და ვერც ნაკრებში... თუმც ახლა იმედი აქვს, რომ ახალი სეზონიდან ყველაფერი უკეთ იქნება...

— ინგლისში 28 ივნისს უნდა დავბრუნდე, მანამდე კი აქ მსუბუქად ვემზადები. ძირითადად, ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ.

— რა ხდება „ბლექბერნში"? ამბობენ, კლუბში ახალი მეპატრონე მივაო...

— კარგა ხანია, ინგლისში არავის შევხმიანებივარ, მაგრამ ჭორის დონეზე ეგ ინფორმაცია მეც გავიგე. არ არის გამორიცხული, „ბლექბერნი" ახალ სეზონს ახალი პატრონით შეხვდეს.

— მწვრთნელ მარკ ჰიუზის შეცვლა რამდენად მოსალოდნელია?

— მარკ ჰიუზი ალბათ დარჩება. ხელმძღვანელები მისით უკმაყოფილონი არ არიან. ისე, მთელი ინგლისი ჰიუზს მომავალში „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებს.

— გასულ სეზონში „ბლექბერნის" ძირითადში იშვიათად ჩანდი...

— ჩემი უთამაშებლობის მთავარი მიზეზი ტრავმები იყო. შოტლანდიასთან სანაკრებო მატჩში ტრავმა რომ მივიღე, მას შემდეგ ძლივს გამოვჯანმრთელდი. ცხადია, ცუდია, ფეხბურთელი დაშავებული რომ გიბრუნდება ნაკრებიდან, მაგრამ მწვრთნელთან ამის გამო ურთიერთობის გაფუჭებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მე და ჰიუზი, შეიძლება ითქვას, მეგობრები ვართ.



— ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო ორ შეხვედრაში ძალიან უსუსურად ითამაშა. მაინც რა მოხდა ლიტვასა და საფრანგეთში?

— ძალიან ცუდად ვითამაშეთ და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ. ორივე მარცხი ჩვენი, ფეხბურთელების ბრალია და მეტი არავისი. ყველამ საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ მიზეზები.

— საფრანგეთის ნაკრებთან ასეთი დაცვითი ფეხბურთის თამაში სარისკო არ იყო?

— ეს ტოპმიოლერის დავალება იყო და ჩემი აზრით, სხვანაირად ამ ნაკრებთან ვერც ვითამაშებდით. საფრანგეთი აზერბაიჯანი არ არის, შეტევაზე რომ ეთამაშო. ვფიქრობ, ტაქტიკა სწორად იყო არჩეული და ამის გამო სულაც არ წაგვიგია.

— კახა კალაძემ თქვა, რომ ეროვნული ნაკრები კარგი ფეხბურთელების ნაკლებობას განიცდის...

— აბსოლუტურად ვეთანხმები. ყველა შეხვედრაში აშკარად ჩანს, რომ ნაკრებს კარგი ფეხბურთელების დეფიციტი აქვს.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის პერსპექტივაზე საუბრობენ. შენი აზრით, ეს რამდენად რეალურია?

— ღმერთმა ქნას, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდეთ, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ძალიან ძნელია. ამას სხვა შესარჩევების დროსაც ჰპირდებოდნენ ხალხს, თუმც ყველა ხედავს, რა დღეშიც ვართ. საქართველოში რამდენიმე კარგი ახალგაზრდა გამოჩნდა, მათი რიცხვი კიდევ უნდა გაიზარდოს, კარგ კლუბებში უნდა გადავიდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წარმატებაზე ფიქრი. სხვანაირად არაფერი გამოვა...

**ნუკრი ლოლაძე**

# ირაკლი მოდებაძე წასვლის ზღვარზე

**ზაპოროჟიეს** „მეტალურგი" ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრა და გუნდს მხოლოდ ერთი ქართველი, დავით კვირკველია გაჰყვა. ირაკლი მოდებაძეზე კი, „მეტალურგის" ვებგვერდი წერს, ახალ კლუბს ეძებსო.

არადა, მოდებაძე ზაპოროჟიელი გულშემატკივრების ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია — ტრავმები სულ თანამგზავრივით დაჰყვებოდა, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მალევე მკვიდრდებოდა.

„კონტრაქტი ზამთარში მიმთავრდება, მაგრამ, შესაძლოა, უფრო დიდხანს დავრჩე „მეტალურგში", შესაძლოა, ამ ზაფხულსვე წავიდე. ეს ამ დღეებში გაირკვევა, კლუბის ხელმძღვანელობას უნდა დაველაპარაკო. შეკრებაზეც იმიტომ არ წავყევი გუნდს, რომ ეს ამბავი უნდა გავარკვიო" — გვითხრა ირაკლიმ, რომელსაც გუშინ უკრაინაში დავუკავშირდით.

როგორც შევიტყვეთ, მოდებაძის შეძენა ერთ-ერთ ავსტრიულ კლუბს სდომებია, თუმც სახელი არ ხმაურდება...

„ჩემი მსურველი კლუბი „მეტალურგზე" ძლიერი და სახელიანია, მაგრამ წინასწარ ლაპარაკს აზრი არა აქვს".

ირაკლიმ მარტო გასულ სეზონში სამჯერ მიიღო ტრავმა და საკმაო ხანი გაუცდა, მაგრამ ამჟამად ფორმაშია — მე რომ მინდოდა და პოტენციალი მქონდა, წლეულს იმის შესაფერისად ვერ ვითამაშე, ეგაა, ბოლოს ორი მატჩი ჩავატარე და ერთი გოლიც შევაგდეო.

მოკლედ, მოდებაძის ზაპოროჟიეში დარჩენა-წასვლის ამბავი ამ დღეებში უნდა გაირკვეს...



**ილია ნანობაშვილი**

# ქართველების შავი ზღვა



**2-8 ივლისს** თურქეთში შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადა იწყება, სადაც საფეხბურთო ტურნირში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიც მონაწილეობს. ჰერბერტ ცანკერს თურქეთში 1991 წელს დაბადებული ბიჭები მიჰყავს.

ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში თერთმეტი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

**A ჯგუფი**: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა

**B ჯგუფი**: უკრაინა, რუმინეთი, საბერძნეთი

**C ჯგუფი**: თურქეთი, საქართველო, ალბანეთი

ნახევარფინალებში ჯგუფების გამარჯვებულები და A ჯგუფის მეორეადგილოსანი გავლენ.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები 3 ივლისს თურქებს შეხვდებიან, 5-ში კი ალბანელებს. ორივე მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში, ქართველები 6 ივლისს ქალაქ კირესუნში B ჯგუფის გამარჯვებულს შეხვდებიან, ფინალი კი, ისევე, როგორც მესამე ადგილისთვის მატჩი, 7 ივლისს ტრაბზონში გაიმართება.

„ჩვენი მიზანი ამ ტურნირის მოგებაა. ნაკრებში ნიჭიერი ფეხბურთელები ირიცხებიან, რომლებმაც სლოვენია-ავსტრიაში ორიოდ თვის წინ საერთაშორისო ტურნირზე კარგად წარმოაჩინეს თავი და ვიმედოვნებ, არც თურქეთში შეგვარცხვენენ. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა თბილისური შეკრების შემდეგ დასახელდება" — განაცხადა ჰერბერტ ცანკერმა.

გერმანელი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, გუნდი დღეიდან 20 ივნისის ჩათვლით შეკრებას გაივლის, ხოლო 27 და 29 ივნისს კლუბებთან ტესტ-მატჩებს გამართავს. თუ სპარინგ-პარტნიორი ვერ მოიძებნა, შეკრებაზე მყოფი ფეხბურთელებით ორი გუნდი დაკომპლექტდება და ერთმანეთს გაეჯიბრებიან.

ცანკერმა შეკრებაზე ამ ფეხბურთელებს უხმო:

**მეკარეები**: თორნიკე ნიჟარაძე („დინამოს" აკადემია), გიორგი შარიქაძე („დინამოს" აკადემია);

**მცველები**: ბაქარ მირცხულავა („ტორპედო"), ერნესტ ახალბედაშვილი („დინამოს" აკადემია), ალექსი ქაშაკაშვილი (თ. სულაქველიძის აკადემია), თორნიკე კაკუშაძე („დინამოს" აკადემია);

**ნახევარმცველები**: დათო რიგვავა („ოლიმპის" აკადემია), დათო მეგრელიშვილი („ოლიმპის" აკადემია), ნიკა შონია („ოლიმპის" აკადემია), გიგა მელიქიშვილი („კახეთი"), მერაბ მამულაძე (ბათუმის „დინამო"), ლუკა გუგუჩია („ოლიმპის" აკადემია), დათო ლორთქიფანიძე („ოლიმპის" აკადემია), ნიკა ძალამიძე („ბაია");

**თავდამსხმელები**: ერეკლე კაჭახიძე („ლოკომოტივი"), ირაკლი შეყილაძე („ბაია"), ოთარ მეუნარგია („დინამოს" აკადემია), დათო ვაშაკიძე („ოლიმპის" აკადემია), ზურაბ ხურციძე („ტორპედო").

**კახა შალამბერიძე**



# მჟავანაძის ერთთვიანი დაღესტანი

**კახა მჟავანაძეს** მახაჩყალის „ანჟიში" განათხოვრების ვადა დაუმთავრდა და ოდესის „ჩერნომორეცში" დაბრუნდა.

მართალია, კახა შავიზღვისპირელებს ეკუთვნის, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, იმ გუნდში დარჩეს, სადაც თითქმის ნახევარი სეზონი ძირითადი შემადგენლობა არ ალირსეს.

ერთიცაა, „ჩერნომორეციდან" მწვრთნელი სემიონ ალტმანი დაითხოვეს და ვგებ, რალაც შეიცვალოს ახალი მწვრთნელის ხელში. ისე გამოვიდა, რომ ალან ჟირესის თავკაცობისას საქართველოს ნაკრების უცვლელი მარჯვენა მცველი მხოლოდ ერთი თვე იყო „ანჟიში" — რუსეთის ვიზა დროულად ვერ მიიღო და ამის გამო საკმაო მატჩები გამოტოვა.

„ანჟიზე" კი ის ვთქვათ, რომ ომარ თეთრაძის გაწვრთნილმა გუნდმა შინ 5:0 მოუგო „სპარტაკ-მჟკ"-ს. მჟავანაძის პოზიციაზე, მარჯვენა მცველად ზურაბ არზიანმა ითამაშა და ორი საგოლე პასიც გაჩარხა. რაც შეეხება გოჩა ხოჯავას, მან 72 წუთი იბურთავა.

„ანჟი" რუსეთის პირველ დივიზიონში მეშვიდე საფეხურზეა და 6 ქულით ჩამორჩება მეორეადგილოსანს. პრემიერლიგაში კი სწორედ ორი გუნდი გადადის.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული ტურისტული სააგენტო GFF-TRAVEL გთავაზობთ ერთკვირიან ტურს სახელგანთქმულ კურორტ მონაკოში.

ამ ტურის განმავლობაში გეძლევათ უნიკალური შანსი, დაესწროთ ევროპის სუპერთასის შეხვედრას „მილანსა" და „სევილიას" შორის, რომელიც გაიმართება 31 აგვისტოს.

იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია.

დეტალური ინფორმაციისათვის დარეკეთ: 91-70-14, 91-70-15, 877-900-902

# მაურინიუს ზე თვალი




**პორტუგალიურმა** „რეკორდმა“ გამოაცხადა, რომ ჟოზე მაურინიუს „ჩელსი“ მადრიდის „ატლეტიკოს“ ცენტრალური მცველით, ზე კასტროთია დაინტერესებული.

„მაურინიუმ „ატლეტიკოს“ ზე კასტროს ტრანსფერი შესთავაზა, თუმცა მადრიდელებმა უარი თქვეს“ — ეწერა ლუზიტანიურ მედიაში.

ზე კასტრო „ატლეტიკოში“ შარშან „აკადემიკადან“ მივიდა, ამ სეზონში 21 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

პორტუგალიელ მცველს ძირითადში მოხვედრის პრობლემები მას შემდეგ გაუჩნდა, რაც წლეულს მადრიდულ გუნდში ფაბიანო ელერი მივიდა.

კასტროს გარდა „ატლეტიკოს“ სხვა ფეხბურთელებიც არიან უცხო კლუბების სატრანსფერო სამიზნეზე. ფედერიკო აზკარატე ათენის აეკ-ს აინტერესებს, მიგელ ანხელ მისტა — „მურსიას“, გალეტი — „ოლიმპიაკოსს“.

**ლადო ხომერიკი**

# დამშვიდდით, სუფთანი ვართ!

## მასიმო მორატი ხელებს ასავსავებს



**იტალიური** „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კიდევ ერთხელ თქვა, რომ მისი გუნდი სუფთაა და ფანებს შეუძლიათ, არ ინერვიულონ.

შეგახსენებთ, რომ „ინტერი“, „მილანთან“, „სამპდორიასა“ და „რეჯინასთან“ ერთად, 2005-06 წლების სეზონში ფინანსურ მაქინაციებშია ეჭვმიტანილი. ამ საქმით უკვე დაინტერესდა იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და საგამოძიებო ჯგუფი.

„მშვიდად ვარ, რადგან ჩვენ ყველაფერი წესრიგში გვაქვს. საფეხბურთო სამყარო ასეთია, ყოველთვის გიწევს რაღაცაზე პასუხის გაცემა. ასეა თუ ისე, ჩვენ არაფერი გვაქვს დასამალი ან სანერვიულო. მოვუწოდებ ფანებს, სიმშვიდე შეინარჩუნონ. „ინტერი“ პატიოსანი და სუფთა გუნდია“ — განაცხადა მორატიმ.

„ნეროაძურის“ პრეზიდენტს დავიდ სუაზოზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, „კალიარის“ ჰონდურასელი თავდამსხმელი „მილანსა“ და „ინტერს“ შორისაა გაჩხირილი და ამ ჩახლართულ ვითარებას ნათელი ჯერაც არ მოჰფენია.

„ეს არის ომი „მილანთან“ და მის ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისთან — ღიმილით თქვა მორატიმ — ვნახოთ, რა მოხდება, სად ითამაშებს, ბოლოს და ბოლოს, სუაზო“.

**კოკი კანდელაკი**

# ფული და სვენი მოდის!

**სვენი** მოდის! — გააფრთხილეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი. სხვა სიტყვებით, ინგლისური პრესა ხმაურობს, ხმაურის მიზეზი კი ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტაქსინ შინავატრას მიერ „მანჩესტერ სიტის“ ყიდვაა.

და რა შუაშია აქ სვენი? სვენი იმ შუაშია, რომ ტაქსინ შინავატრა შემდეგ კვირაში გუნდის მწვრთნელად ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცის დასახელებას აპირებს.

„ჩვენ ამ გუნდს უძლიერესთა შორის დავაბრუნებთ. ჩვენ მოვახერხებთ იმას, რომ „მანჩესტერ სიტი“ აზიაში ისეთივე პოპულარული გახდება, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპულია“. მე ჩემს პირველივე პრემიერლიგურ სეზონში ჯილდოს მოგებას ვოცნებობ — განუცხადა ტაქსინმა ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებს და შთამბეჭდავად დასძინა — ჩვენ ახალ ფეხბურთელებს ვიყიდით, თუნდაც ისინი 29, 30 ან 50 მილიონი გირვანქა ღირდნენ“.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა „მანჩესტერ სიტი“ ორიოდ დღის წინ 81,6 მილიონ გირვანქად იყიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბმა, რომელსაც 60-მილიონიანი ვალი ჰქონდა, ფინანსურად ამოისუნთქა. შინავატრა ამიერიდან კლუბის აქციათა 55,7 პროცენტის მფლობელია.

საინტერესოა, რომ შინავატრას მტკიცებით, მისი კლუბი დღეისათვის „მანჩესტერ იუნაიტედზე“ უკეთეს დღეშია, რადგან „იუნაიტედი“ ამერიკელი გლეიზერების ხელში გადასვლის შემდეგ 500-მილიონიან ვალშია ჩაფლული.

„ბიზნესში ასეა, თუ ბევრი ვალი გაქვს, შემოსავლიდან გიწევს მისი დაფარვა, ეს კი კლუბისთვის მეტისმეტად ცუდია. ამას გაცილებით სჯობს, როგორმე ისე დაგეგმო, რომ ვალი საერთოდ აირიდო თავიდან“.

საინტერესოა, რომ ოთხშაბათს სვენ გორან ერიკსონის აგენტმა ათოლ სტილმა განაცხადა, რომ ხმები მისი კლიენტის „სიტიში“ გადასვლის თაობაზე, სისულელეა და მეტი არაფერი, არადა, შინავატრამ ასე თქვა:

„სვენს წინა კვირაში ველაპარაკე. მას კარგი რეპუტაცია აქვს და ძლიერი სპეციალისტია. იდეალური, ბუნებრივია, არავინაა, მაგრამ აქ საქმე იდეალურობაზე კი არ არის, არამედ იმაზე თუ, ვინ ერგება თანამდებობას ყველაზე მეტად. ჩემი მრჩევლები ყველა კანდიდატურაზე წინ სწორედ მას აყენებენ“.

59 წლის ერიკსონი 2006 წლის მუნდიალის შემდეგ, ანუ, რაც ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა, უმუშევარია.

**პაპუნა კედია**

# ლივერპულის მიზნები

**ინგლისურ** „ლივერპულსა“ და მის ესპანელ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს ჯიუტად გადაუწყვეტიათ ისრაელის ნაკრებისა და „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველ იოსი ბენაიუნის ყიდვა. „ჩაქუჩებმა“ უკვე უარი თქვეს 3 მილიონ გირვანქაზე და ამბობენ, მერსისაიდელებმა ახლა თანხა 4,5 მილიონამდე გაზარდესო. ლივერპულელები მზად არიან, ტრანსფერში კრეიგ ბელამიც ჩართონ.

გარდა ამისა, „ლივერპული“ ფორვარდსაც ეძებს და ჩარლტონელი დარენ ბენტიდან ყურადღება პსვ-ს კოტდივუარელ თავდამსხმელ არუნა კონეზე გადაუტანია.

მერსისაიდელებს „რომას“ ბრაზილიელი ამანტინო მანსინის ყიდვაც სურდათ, მაგრამ იტალიურმა კლუბმა 19 მილიონ ევროზე უარი თქვა.

## ჩელსის დრენტი

**„დეილი მირორის“** ცნობით, „ჩელსის“ როტერდამის „ფეიენოორდის“ გარემარბ სისტონ დრენტის შეძენა უნდა. ლონდონელები მზად არიან, ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების წევრში 4 მილიონი გირვანქა გადაიხადონ.

დრენტის ბევრი მსურველი ჰყავს, „ტოტენჰემისა“ და „ასტონ ვილას“ ჩათვლით.

## იასკელაინენმა, დავრჩებიო

**ინგლისური** „ბოლტონის“ ფინელი მეკარე იუსი იასკელაინენი მალე კონტრაქტს ერთი წლით გაახანგრძლივებს.

იასკალაინენი წასვლაზეც ფიქრობდა, მაგრამ „სკაისპორტსის“ ცნობით, დარჩენა გადაწყვიტა.

## ტევესი 20 მილიონად

**ესპანური** „ასის“ ცნობით, მადრიდის „რეალი“ მალე კარლოს ტევესს იყიდის. ამბობენ, „სამეფო გუნდის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა და 23 წლის არგენტინელზე უფლებების მქონე კია ჯურაბჩიანმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებასო.

„რეალს“ ტევესი 20 მილიონი გირვანქა დაუჯდება.

## ლინკოლნი-გალა

**გელზენკირხენის** „შალკეს“ ბრაზილიელი ლეგიონერი ლინკოლნი მომავალი სეზონიდან ალბათ „გალათასარაიში“ ითამაშებს.

„შეთანხმებას მივაღწიეთ, ლინკოლნი „გალათასარაიში“ გადადის“ — განუცხადა „ბილდს“ „შალკეს“ მენეჯერმა ანდრეას მიულერმა.

გერმანული კლუბი კი შვეიცარიული „ბაზელის“ 19 წლის ნახევარმცველ ივან რაკიტიჩის შეძენას აპირებს. მან სწორედ ლინკოლნი უნდა შეცვალოს.

## ლუკარელი რუბინს უნდა

**ყაზანის** „რუბინს“ იტალიური „ლივორნოს“ ვეტერანი ფორვარდის კრისტიანო ლუკარელის შეძენა უნდა.

ტოსკანელთა 31 წლის თავდამსხმელმა წინა სეზონში სერია A-ში 32 მატჩი ჩაატარა და 20 გოლი გაიტანა.

მისით ადრე სხვა რუსული კლუბი, „ზენიტი“ იყო დაინტერესებული, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

**გიორგი კაკაბაძე**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## შეი გივენი

მეკარე

დაიბადა 1976 წლის 20 აპრილს ლიფორდში
სიმაღლე: 1,87 მეტრი
წონა: 81 კგ
კარიერა: 1993-94 წლები — „სელტიკი“ (0 მატჩი),
1994-97 წლები — „ბლექბერნი“ (2 მატჩი),
1995 წელი — „სუინდონი“ (5 მატჩი),
1996 წელი — „სანდერლენდი“ (17 მატჩი),
1997 წლიდან — „ნიუკასლი“ (313 მატჩი)
1996 წლიდან თამაშობს ირლანდიის ნაკრებში (80 მატჩი)






## BMW M6

გამოშვების თარიღი: 2005 წელი
სიგრძე: 4,826 მეტრი
სიგანე: 1,836 მეტრი
სიმაღლე: 1,363 მეტრი
წონა: 1 710 კგ
ცილინდრი: 10
ძრავის კუბატურა: 5,0
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 340 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,2 წამში
ფასი: 55 000 გირვანქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალბატონმა სარეცხი მანქანა შეიძინა

## მილიტო ალბათ არ გამოჩვა


გაბრიელ მილიტო

**სერხიო ალმირონის** შემდეგ, ტურინში ტიაგუ მენდეშიც ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა. ახლა ამ ტრანსფერებს მხოლოდ ოფიციალური დასტური აკლია, რაც ალბათ მალე მოხდება, თუმცა პორტუგალიელი ნახევარმცველი უკვე ისე ლაპარაკობს, როგორც „იუვეს“ ფეხბურთელი.

„მიხარია, რომ აქ ვარ და მინდა, ქომაგებს ვუთხრა, რომ ჩვენ აუცილებლად ვიბრძოლებთ სკუდეტოსთვის. მე კლასიკური 8 ნომერი ვარ, „იუვენტუსში“ კი 30-ნომრიანი მაისურა მეცმევა. საფრანგეთში „სარეცხ მანქანას“ მეძახდნენ, რადგან შავი სამუშაოს შესრულება, რთული ბურთების მოპოვება და ჩემი თანაგუნდელების პასებით მომარაგება კარგად შემიძლია. ჩემით „მილანიც“ იყო დაინტერესებული, მაგრამ „იუვე“ უფრო დამაჯერებელი გახლდათ“ — თქვა 26 წლის პორტუგალიელმა.

გავრცელებული ცნობით, „ლიონი“ ტიაგუს სანაცვლოდ 16-17 მილიონ ევროს მიიღებს. პორტუგალიელი „ბიანკონერისთან“ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს, მისი ხელფასი კი სეზონში 3,1 მილიონი იქნება.

„ბიანკონერის“ თითქმის გაჩარხული ჰქონდა გაბრიელ მილიტოს ტრანსფერიც, მაგრამ საქმე გართულდა. იტალიური პრესის ცნობით, „სარაგოსამ“ არგენტინელი მცველის ფასი გაზარდა და ახლა მისი შეძენის მეტი შანსი მადრიდის „რეალს“ ჰქონია.

„ბებერ ქალბატონს“ კი ყურადღება მილიტოს ახალგაზრდა თანამემამულე ეზეკიელ გარაიზე გადაუტანია. სანტანდერის „რასინგის“ 20 წლის მცველი არგენტინაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად ითვლება. იგი 13 მილიონ ევროდ ფასდება.

**გიორგი ძაძაბაძე**

# რომამ ჟუანი დააგვირგვინა

**დიდხანს** უარა „რომამ“ „ლევერკუზენის“ ბრაზილიელ მცველ ჟუან სილვეირა დუშ სანტუშს და მიაღწია კიდეც მიზანს. 28 წლის ფეხბურთელი ამიერიდან „ჯალოროსის“ ღირსებას დაიცავს. იგი თავის ახალ კლუბს „კოპა ამერიკის“ შემდეგ შეუერთდება.

ჟუანი „გლადიატორებთან“ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და სეზონში 3,3 მილიონ ევროს მიიღებს. მისი ფასი კი 6,7 მილიონი გახლდათ.

ამ ტრანსფერთან ერთად გუნდები ამხანაგურ მატჩზეც შეთანხმდნენ, რომელიც 29 ივლისს „ბაიარენაზე“ გაიმართება.

ბუნებრივია, ამ ტრანსფერის შემდეგ უფრო ალაპარაკდნენ კრისტიან კივუს „ინტერში“ გადასვლის თაობაზე. რუმინელი „რომასთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვერ თანხმდება.

იტალიურ პრესაშიც არაერთხელ დაიწერა, კივუ „ინტერში“ გადავა, სანაცვლოდ კი „რომა“ ჟუანს იყიდისო...

ამასობაში, „რომამ“ ბოლომდე გამოისყიდა „ლეჩესგან“ მირკო ვუჩინიჩის კონტრაქტი. ეს დედაქალაქელებს 7,5 მილიონი ევრო დაუჯდათ. ახალგაზრდა ჩერნიგორიელმა დედაქალაქურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი ხელფასი კი ნელნელა გაიზრდება 1,7 მილიონი ევროდან 2,4 მილიონამდე.

**კოკი ძანდელაძე**

# პუიოლის ამხანაგური ტრავმა

## დეკუ ალბათ გაიყიდება

**ესპანეთის** ნაკრებისა და „ბარსელონას“ მცველ კარლეს პუიოლს დაახლოებით სამი თვე უქმობა მოუწევს. შესაბამისად, იგი გამოტოვებს მომავალი სეზონის საწყის მატჩებსა და ეროვნული ნაკრების შეხვედრებს ისლანდიასა და ლატვიასთან.

„ბარსას“ კაპიტანმა სამხრეთაფრიკულ „მამელოდი სანდაუნსთან“ ამხანაგურ მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა და უახლოეს დღეებში ოპერაციას გაუკეთებენ.

ექიმების თქმით, სარეაბილიტაციო პერიოდი დაახლოებით სამ თვეს გასტანს.


კარლეს პუიოლი

კატალონიელთა პორტუგალიელმა ნახევარმცველმა დეკუმ კი „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ საუბარში განაცხადა, ტყუილად გვაბრალებენ იმას, რომ ბოლომდე არ ვიხარჯებოდით და პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა ამიტომ დავკარგეთო...

„თითქმის ყველა „ბარსას“ ლანძღავს და ეს უკვე სასამართლო პროცესს ემსგავსება. კრიტიკა და განსჯა ჟურნალისტების პროფესიაა, ისინი ამით ცოცხლობენ. იოლია, თქვა, დამნაშავენი ფეხბურთელები არიან, ისინი ბოლომდე არ იხარჯებოდნენო. თუმცა ეს მართალი არ არის, ამ შემთხვევაში მაინც. ჩვენ ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდით, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ან ტაქტიკურ ან სხვაგვარ შეცდომას ვუშვებდით. ეს არის წარუმატებლობის მიზეზი და არა ის, თითქოს შემართება გვაკლდა“ — თქვა დეკუმ.

კატალონიური „სპორტი“ კი გვამცნობს, „ბარსას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა მზადაა, თუ სარფიან წინადადებას მიიღებს, დეკუ გაყიდოსო.

**კოკი ძანდელაძე**



# ანრი ენას ასვენებს

## ბარსამდე უარი ინტერმა მიიღო

**„ბარსელონა“** ტიერი ანრის თაობაზე „არსენალთან“ გარიგებას ჩქარობს. კატალონიური გუნდის მიზანია, „მეთოფეთა“ ფრანგი „ბარსას“ მაისურაში ამ ერთ კვირაში გამოაწყოს.

კატალონიელთა მხრიდან „არსენალთან“ მოლაპარაკებას ფინანსების დარგში კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ფერან სორიანო უდგას სათავეში. ლონდონელები თავიანთ ვარსკვლავში 35 მილიონ ევროს ითხოვენ, „ბარსა“ კი ცდილობს, ვენგერის გუნდს ფასი დააკლებინოს.

„ელ მუნდო დეპორტივოს“ მტკიცებით, ანრის „კამპ ნოუზე“ გადაბარგება შეიძლება სულ რამდენიმე დღეში განხორციელდეს. ფრანგის ბარსელონურ ვიზიტს მალე ელოდებიან.

ტიერი ანრიმ ცოტა ხნის წინ მილანის „ინტერს“ უთხრა უარი. მილანელებს განსაკუთრებით ფრანგის აგენტების გამონათქვამებმა მოუკლა გული. ანრის მავანმა წარმომადგენელმა განაცხადა, თუ ანრი იტალიაში წავა სათამაშოდ, ამას მხოლოდ „მილანის“ გულისთვის გააკეთებს, ამ კლუბს კი ჩვენთვის არ მოუმართავსო... „მილანი“ კი, მოგეხსენებათ, „ინტერის“ მოსისხლე მტერია.

თავად ანრი „ბარსაში“ გადასვლის მოსურნეა (ყოველ შემთხვევაში, კატალონიური მედია ამას ამტკიცებს). ფრანგს უთქვამს, ახალ გუნდში პრეზენტაციამდე, მედიასთან ინტერვიუებისგან თავს შევიკავებო.

**ლადო ხომერიძე**

# პირველი იაია

## ტურე საბოლოოდ გადაწყდა

**უკვე** გაირკვა, ვის იყიდის „ბარსელონა“ 2007-08 წლების სეზონისთვის პირველად — ეს იაია ტურეა, „მონაკოს“ კოტდივუარელი ნახევარმცველი.



აფრიკელი ბარსელონაში კვირას ღამით ჩავა, ორშაბათს კი სამედიცინო შემოწმების წარმატებით გავლის შემთხვევაში, კატალონიური გუნდის ფეხბურთელად ოფიციალურად გამოცხადდება.

ტურეს საქმე პრაქტიკულად გადაწყვეტილია, თუმცა დღეს კატალონიის მთავარქალაქში „ბარსას“ წარმომადგენლები აფრიკელის აწ უკვე ყოფილ კლუბ „მონაკოს“ და ფეხბურთელის აგენტ დმიტრი სელიუკს მოელაპარაკებიან, რათა გარიგების ფინანსური დეტალები დააზუსტონ. ხსენებული სელიუკი იაია ტურეს გაყიდვის უფლების 50 პროცენტს ფლობს.

კოტდივუარელი ნახევარმცველი „მონაკომ“ გასულ სეზონში „ოლიმპიაკოსიდან“ 4 მილიონ ევროდ იყიდა, ბერძნებმა კი ტურე თავის დროზე დონეცკის „მეტალურგიდან“ 1,2 მილიონად შეიძინეს. სავარაუდოდ, „ბარსელონა“ თავის ახალ ფეხბურთელში ათიდან თხუთმეტ მილიონამდე ევროს გადაიხდის.

იაია ტურე „კამპ ნოუზე“ ოთხი სეზონით, 2011 წლის ივნისამდე დარჩება და წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს.

„ტურე კლდესავით ძლიერია. თავისი აღნაგობიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, ზანტის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმც პირველი 4-5 მეტრის გარბენის შემდეგ ნახავთ, რომ საშინლად სწრაფი და მეტოქისთვის საშიში გახლავთ. გონიერი ფეხბურთელია და თამაშს მშვენივრად კითხულობს“ — თქვა თავის შეგირდზე კოტ დივუარის მწვრთნელმა ული შტილიკემ.

**ლადო ხომერიძე**

## ტორინო ბაზარში

**იტალიური** „ტორინო“ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აგრძელებს. კლუბმა ამჯერად სერია B-ში გავარდნილი „ასკოლიდან“ ორი ფეხბურთელი — პაოლო ძანეტი და საშა ბიელანოვიჩი დაიმატა. პირველი 24 წლის ნახევარმცველია, მეორე კი — 28 წლის თავდამსხმელი.

შეგახსენებთ, რომ „ტორომ“ მათ გარდა, უკვე მოასწრო ეუჯენიო კორინის, ვინჩენცო გრელასა და ნიკოლა ვენტოლას დამატება.

## ჯერ მხოლოდ ლაპარაკი

**„ბოლონიას“** ლიდერი მურად მეგნი „ნაპოლისა“ და „პალერმოს“ ყურადღების ცენტრშია. შემტევ ნახევარმცველს, რომელსაც ზინედინ ზიდანს ადარებენ, წინა ზაფხულსაც ბევრი მსურველი ჰყავდა, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა.

„ჩემმა აგენტმა მითხრა, რომ „ნაპოლის“, „პალერმოსა“ და ერთ ესპანურ კლუბს სურთ ჩემი შეძენა. ძალიან გამიხარდება, „ნაპოლიში“ თუ გადავალ, ეს განსაკუთრებული გუნდია“ — თქვა მეგნიმ.

## ჟილას ჟილა მილანია

**ბოლო** დროს ალბერტო ჯილარდინოს „მილანიდან“ შესაძლო წასვლაზე ისევ ალაპარაკდნენ. ექსპარმელს განსაკუთრებით „იუვენტუსს“ უკავშირებენ, მაგრამ „ჯილამ“ თქვა, რომ „სან სიროდან“ წასვლის სურვილი არ აქვს.

„მე მხოლოდ „მილანზე“ ვფიქრობ. გავიგე „იუვენტუსისა“ და სხვა კლუბების ინტერესზე, მაგრამ „როსონერი“ ჩემთვის პირველ ადგილზეა. იმედია, მომავალი სეზონისთვის უკვე სასურველ ფორმაში ვიქნები. მინდა, კლუბთან ერთად კიდევ მივაღწიო დიდ წარმატებებს“ — განაცხადა ჯილარდინომ.

## ვიერი ჯენოას დათანხმდება

**ბერგამოს** „ატალანტადან“ წასულმა კრისტიან ვიერიმ, შესაძლოა, კარიერა სერია A-ში დაბრუნებულ „ჯენოაში“ გააგრძელოს. გავრცელებული ცნობით, გენუელთა წინადადებით თავად „ბობოც“ დაინტერესებულია.

მას შემოთავაზებები „პალერმოსგან“, ამერიკული და არაბული გუნდებისგან ჰქონია, თუმცა 34 წლის ფორვარდს ყველაზე მეტად „ჯენოა“ ხიბლავს, რადგან აწლოს იქნება მილანთან, სადაც იგი ცხოვრობს.

## ესპოზიტო კარგ ფულად

**„კალიარი“** მზად არის, გუნდის ლიდერი მაურო ესპოზიტო „რომას“ დაუთმოს, თუ დედაქალაქელები კარგ ფულს გადაიხდიან.

სარდინიელთა სპორტულ დირექტორ ნიკოლა სალერნოს თქმით, კლუბებს შორის მოლაპარაკება მალე დაიწყება.

„კალიარის“ ესპოზიტოს სანახევრად შენარჩუნება უნდა. ჯერ უცნობია, დათანხმდება თუ არა ამას „რომა“.

## ლიპის ტაში

**მარჩელო ლიპიმ** „იუვენტუსს“ ვინჩენცო იაკინტას ტრანსფერი მიულოცა და არჩევანი შეუქო.

შეგახსენებთ, რომ ტურინელებმა ახლახან ოფიციალურად დაიმატეს „უდინეზეს“ 27 წლის თავდამსხმელი.

„იაკინტა მაღალი, სწრაფი, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერია და არც ტექნიკაში მოიკოჭლებს. თავითაც კარგად თამაშობს. ერთი სიტყვით, სრულყოფილი თავდამსხმელია, რომელსაც ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგზეც. სიმართლე გითხრათ, არა მგონია, „იუვეს“ მასზე უკეთესი ვინმე ეპოვა“ — აღნიშნა ლიპიმ.

## მარსელის ორი ახალი

**ფრანგული** „მარსელი“ ორი ახალი ფეხბურთელით გაძლიერდა — გაელ ჟივეთი და ლორან ბონარით.

ჟივემ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო ბონარმა — სამწლიანი.

## ლანძაატი უკან

**როტერდამის** „ფეიენოორდმა“ ჰოლანდიის ნაკრებისა და „უიგანის“ გარემარბ დენი ლანძაატს დაადგა თვალი.

ლანძაატი „უიგანში“ შარშან ზაფხულს 2,5 მილიონ გირვანქად გადავიდა „ალკმაარიდან“.

## ასე არ გამოვა

**ფიფას** გადაწყვეტილებით, ისრაელის დროებითი მოქალაქეობის მქონე რობერტო კოლაუტი და ტოტო ტამუზი ისრაელის ნაკრებში ველარ ითამაშებენ, თუ მათ სრულყოფილ მოქალაქეობას არ მისცემენ.

კოლაუტის არყოფნა დიდი დარტყმა იქნება ისრაელის ნაკრებისა და მისი მწვრთნელის, დრორ კაშტანისთვის. იტალიური ფესვების მქონე არგენტინელს ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე უკვე 6 გოლი აქვს გატანილი და ისრაელის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია.

მართალია, კოლაუტის ისრაელის მოქალაქე ჰყავს ცოლად, მაგრამ ამბობენ, მისთვის სრულფასოვანი მოქალაქეობის მიცემა და ბიუროკრატიური დეტალების მოგვარება, გაცილებით დიდ დროს წაიღებს, ვიდრე ტამუზის შემთხვევაში.

**გიორგი ძაძამაძე**



**სევილია — ხეტაფე**

*სავარაუდო შემადგენლობები*

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, ხავი ნავარო, დრაგუტინოვიჩი, დავიდ კასტედო, ხესუს ნავასი, პოულსენი, მარტი, პუერტა, კანუტი, კერჟაკოვი

**მწვრთნელი:** ხუანდე რამოსი

**ხეტაფე:** ლუის გარსია, კონტრა, ბელენგერი, პულიდო, პარედესი, კასკერო, სელესტინი, მარიო კოტელო, ნაჩო, მანუ, გიზა

**მწვრთნელი:** ბერნდ შუსტერი

**მსაჯი:** როდრიგეს სანტიაგო



## დალაქები და გიგანტთა მკვლელები

**დღეს** „სევილია“ და „ხეტაფე“ მადრიდში, კოპა დელ რეის ფინალში ითამაშებენ. ორივე გუნდისთვის ეს სეზონი ისტორიაში საუკეთესო იყო და ანდალუზიელებიც და მადრიდელებიც ეცდებიან, წარმატებული კამპანია მაჟორულად დაასრულონ.

„სევილიამ“ წლეულს ევროპის სუპერთასი და უეფას თასი მოიგო. ხუანდე რამოსის შეგირდებმა გაისად ჩემპიონთა ლიგაზე მონაწილეობის უფლებაც მიიღეს, რაც ამ გუნდის არსებობის ისტორიაში პირველად ხდება.

„ხეტაფემ“ კი, ასევე პირველად, მომავალი სეზონისთვის ევროტურნირებზე თამაში გაინაღდა.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი სულ სამი წელია, რაც ესპანეთის უმაღლეს ლიგაშია.

ბოლოს „სევილიას“ კოპა დელ რეიზე (მაშინ ამ თასს კოპა დე ხენერალისიმო ერქვა) 1948 წელს გაუმარჯვია.

ლაპარაკობენ ავ ბედისწერაზე, რომელიც ანდალუზიელებს სათასო შეხვედრებში არ აზარებს, თუმცა ხუანდე რამოსი და მისი ბიჭები სხვანაირად ფიქრობენ, მათ ფორტუნის შემოტრიალება უნდათ.

სევილიელებმა ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბოლო მატჩამდე კი იბრძოლეს, თუმცა ეს მათ ძალების დაკარგვად და გამოფიტვად დაუჯდათ, რაც „ვილიარეალთან“ ბოლო ტურის თამაშშიც გამოჩნდა.

ხესუს ნავასს, რენატოსა და „სევილიას“ მთავარმეგოლე ფრედერიკ კანუტს სხვადასხვა სახის ტრავმა აწუხებთ. ადრიანო კი დღეს ნაღდად ვერ ითამაშებს.

აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, „სევილიას“ მწვრთნელი და ფეხბურთელები რომ ამბობენ, ჩვენ გამოკვეთილი ფავორიტები სულაც არ ვართ და საერთოდ, მედიის ქება-დიდებამ შეიძლება დათვური სამსახური გაგვიწიოსო.

— „ხეტაფე“ მადრიდში ბოლო წამამდე იბრძოლებს, ისევე, როგორც „ესპანიოლმა“ იომა ჩვენთან უეფას თასის ფინალურ შეხვედრაში“ — თქვა ხუანდე რამოსმა.

ბერნდ შუსტერის „ხეტაფე“ მართლაც მებრძოლი გუნდია. მადრიდელები ესპანეთში ნებისმიერი გუნდისთვის უსიამოვნო მეტოქედ ითვლებიან.

„ლურჯებმა“ თასისთვის ომში წლეულს ისეთი ბუმბერაზები დაალურჯეს და შინ გაისტუმრეს, როგორებიც „ბარსელონა“ და „ვალენსია“ არიან.

„ხეტაფეს“ იქაურმა პრესამ დიდის ამბით შეარქვა „მატახიგანტეს“, რაც „გიგანტთა მკვლელს“ ნიშნავს...

შუსტერის შეგირდებმა კოპა დელ რეიზე ჯერ სეგუნდადივიზიონის მაშინდელ ლიდერ „ხერესს“ მოუგეს, მერე კიკე სანჩეს ფლორესის „ვალენსია“ გაამწარეს („ხეტაფემ“ „მესტალიაზე“ 4:2 მოიგო), შემდეგ იყო „ოსასუნა“ და ბოლოს ბეჭებზე გაკრული „ბარსელონა“. კატალონიურმა გრანდმა „კამპ ნოუზე“ 5:2 კი მოიგო, მაგრამ „კოლიზეუმ ალფონსო პერესზე“ ყველასთვის მოულოდნელად, 0:4 დამარცხდა.

„ბერნარდო“ რამდენიმე დღეში მეორე მადრიდული გუნდის, „რეალის“ მწვრთნელად ოფიციალურად უნდა დაასახელონ. ამ ამბავზე დიდი აჟიოტაჟია ატეხილი და „ხეტაფეს“ ფორვარდმა დანიელ გიზამაც ნერვიულად თქვა, ყველას ვთხოვ, შუსტერს და, საერთოდ, მთელ გუნდს თავი დაგვანებონ, ის კაცი ჯერჯერობით ჩვენი მწვრთნელია და ახლა მარტო კოპა დელ რეის ფინალზე უნდა ვიფიქროთო...

**ლადო ხომერიკი**

## სიზნელის ჩემპიონი

### რამდენჯერ მიზეგვეს საკი ესპანეთში?

**არიგო საკისა** და ფაბიო კაპელოს დაპირისპირება გრძელდება.

მართალია, კაპელოს მადრიდის „რეალიდან“ წასვლას ესპანეთის სატახტოში მალე ოფიციალურად დაადასტურებენ, მაგრამ იტალიელს მაინც ატკინა გული მასზე არანაკლებ სახელგანთქმული თანამემამულის ნათქვამმა — საამსეზონო პრიმერა ტექნიკური დონის მიხედვით სრული სიბნელე იყო, ხოლო სიბნელეში ტრადიციულად კაპელო იმარჯვებსო.

„თუ იმას გავითვალისწინებთ, ვისგან მოდის ეს სიტყვები, დიდად სანერვიულო არაფერი მაქვს, პირიქით, შემიძლია, ეს ყველაფერი შექებადაც მივიღო... საკის თავის დროზე ესპანეთში ორჯერ მწარედ მოხვდა და ეს ვერ მოუნელებია. პირველად „ატლეტიკოს“ მწვრთნელობისას მოსდეს სიფათში და შემდეგ მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორობისას. საერთოდაც, თუ გაინტერესებთ, არიგო საკი ესპანეთიდან გააძევეს“ — განაცხადა დონ ფაბიომ იტალიურ SKY-სთან ინტერვიუში.

შეკითხვაზე, ისევ მადრიდში გააგრძელებს თუ არა კარიერას, კაპელომ უპასუხა: „მე „რეალთან“ კონტრაქტით კიდევ 2 წელი დამრჩა, თუმცა „ბერნაბეუზე“ მწვრთნელის არჩევა პრეზიდენტ რამონ კალდერონის პრეროგატივაა. ჰოდა, „რეალის“ მომავალი დამრიგებლის შესახებ სჯობს, სენიორ კალდერონს შეეკითხოთ“.

უკვე დადგენილია, რომ მომავალი თავკაცი გერმანელი ბერნდ შუსტერი იქნება. ფაბიო კაპელოს კი, როგორც თავად ამბობს, სეზონის განმავლობაში კალდერონისგან მხარდაჭერა არც უგრძვნია.

„თავს დინების საწინააღმდეგოდ მცურავ კალმახად ვგრძნობდი“ — თქვა დონ ფაბიომ ერთ-ერთ ესპანურ გაზეთთან ინტერვიუში და სხვათა შორის, ზღვის პროდუქტების მავანმა ნორვეგიულმა კონცერნმა, მეორე დღეს იტალიელს ორი კალმახი აჩუქა...

**ლადო ხომერიკი**



# ოქროს ვარსკვლავი



## კარლოს ბილარდო: კაცი ვიდეომაგნიტოფონით

*დასასრული*

**— 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, ბუნებრივია, უამრავ მოგონებას დაგიტოვებდათ, მაგრამ საინტერესოა, ამ მოგონებათაგან ყველაზე ძვირფასი რომელია...**

— ის წამი, როდესაც ფინალი დამთავრდა. არ დავმალავ, საშინლად გაბრაზებული ვიყავი, გერმანელებს ორი გოლი კუთხურიდან რომ გავატანინეთ. კუთხური ხომ სწორედ ის კომპონენტია, რომელზეც ფეხბურთელობის წლებში უამრავი მიმუშავია. კუთხურზე ოსვალდო სუბელდიას თავისი მოსაზრებები ჰქონდა და ამ მოსაზრებებს მე მინერგავდა, თუმცა 1986 წელს სუბელდია ცოცხალი აღარ გახლდათ და არც მისი იდეები იყო ატაცებული. სუბელდია ის მოღვაწე გახლდათ, რომელმაც ხალხს ფეხბურთი ახალი თვალით დაანახა და არგენტინაში შემოიტანა კითხვა: ნეტავ მოწინააღმდეგე როგორ თამაშობს? სუბელდიამდე ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ საკუთარი თამაში აინტერესებდათ და მეტოქის სტილსა და ტაქტიკას ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ. მე სუბელდიას მიმდევარი გახლდით, თუმცა რამდენიმე რამ, ის, რაც დრომ მოიტანა, შევცვალე. მახსოვს, ფეხბურთელობისას, ვარჯიშის შემდეგ ვრჩებოდი და მას ტაქტიკაზე ვესაუბრებოდი. ამ ლაპარაკებიდან ჩემთვის აშკარა იყო, რომ სუბელდიამ თავის დროს ძალიან გაუსწრო. მან საფეხბურთო თვალსაზრისით, ცხოვრება შეცვალა და მეც, აკი გითხარით, თუ რამ ვიცი, მისი ნასწავლებია. ერთი სიტყვით, 1986 წელს მსოფლიოს ჩემპიონი მისი სახელის უკვდავსაყოფად გავხდი.

**— იმ ჩემპიონატის მეოთხედფინალში თქვენ ინგლისს შეხვდით. ეს მრავალმხრივ დაძაბული და იმავდროულად კლასიკური დაპირისპირება გახლდათ. რა უთხარით ფეხბურთელებს, ისინი ფსიქოლოგიურად კარგად რომ ყოფილიყვნენ მზად?**

— ბუნებრივია, ყველას კარგად ახსოვს, რომ ინგლისმა და არგენტინამ 1982 წელს იომეს. ჩემპიონატზე ისე მოხდა, რომ ჩვენ მეოთხედფინალში ინგლისელებზე ერთი დღით ადრე გავედით და, როგორც კი ჩვენი მოწინააღმდეგის ვინაობა გახდა ცნობილი, ბიჭები ერთ ოთახში შევყარე, სადაც ასეთი რამ ვთქვი: ხვალ დიდი ზეწოლა გველის, რადგან ღია ვარჯიში გვაქვს, პრესა-ტელევიზია გვესწრება და ყველა ერთსა და იმავეს შეგვეკითხება — რას გრძნობთ ინგლისთან დაპირისპირების წინ. ჩვენ კარგად ვიცით, რასაც ვგრძნობთ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი სპორტული შეჯიბრებაა და აქ მხოლოდ სპორტზე უნდა ვილაპარაკოთ. საინტერესოა, რომ როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ბობი რობსონმაც ზუსტად იგივე უთხრა ინგლისელ ფეხბურთელებს, ასე რომ, ერთადერთი, რისკენაც ხალხს მოვუწოდეთ, საკუთრივ მატჩი და ფეხბურთი გახლდათ.

**— და თავად მატჩის მსვლელობისას რას გრძნობდით? რას გრძნობდით, მარადონას გოლებს რომ უცქერდით?**

— მახსოვს, ბარნსმა რომ ჩააწოდა და ლინეკერმა თავურით შეამცირა ანგარიში. ერთი ხნის შემდეგ ბარნსმა იგივე გაიმეორა, მაგრამ ამჯერად მისი ჩაწოდებული ოლარტიკოეჩეამ თავით გამოიტანა — იმ დღეს ჩვენ კარგად ვთამაშობდით. კიდევ, მახსოვს, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ყველა მეკითხებოდა, ხელით გაიტანა თუ არა მარადონამ პირველი გოლი. მე ვპასუხობდი, რომ იმ ადგილიდან, სადაც მე ვიჯექი, ეპიზოდი კარგად არ ჩანდა. რაც შეეხება დიეგოს, მისი მაშინდელი პასუხი ყველამ კარგად ვიცით, მისი მეორე გოლი კი ისეთი რამ იყო, რისი ბადალიც არასდროს არაფერი მინახავს...

...სხვათა შორის, ბარნსი მოედანზე მაშინ შემოვიდა, როდესაც ჩვენ 2:0-ს ვიგებდით. მან ფლანგიდან აქტიურობა და ჩვენთვის პრობლემების შექმნა დაიწყო. აკი მოგახსენეთ, რომ ჩვენ სამი მცველით ვთამაშობდით. სათადარიგოთა სკამზე ერთი მცველი კიდევ მეჯდა და ბიჭებმაც ყვირილი დამიწყეს: ბილარდო, შეცვალე ვინმე, შეცვალე ვინმე! პასუხად მეც დავიყვირე, არ ვაპირებ იმ სისტემის შეცვლას, რომლის სრულყოფაზეც ოთხი წელიწადი ამდენი ვიმუშავე-მეთქი. დიახ, შემეძლო, მოედანზე მეოთხე მცველი შემეშვა და ინგლისელების მწვავე ენდშპილისთვის ბოლო მომეღო, მაგრამ მე ეს არ გავაკეთე.

**— და როდის მიხვდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ხდებოდით?**

— სწორედ ინგლისელების დამარცხების შემდეგ. ამ მატჩის შემდეგ ვიგრძენით, რომ ყველაფერი ისე ეწყობოდა, როგორც ჩვენთვის იყო საჭირო. არადა, იმ ჩემპიონატზე ძალიან ბევრი კარგი გუნდი იყო. მაგალითად, საფრანგეთს ჰყავდა ძლიერი გუნდი, ინგლისს, გერმანიას, იტალიას... ეს გუნდები ჩემპიონობის კანდიდატებად ითვლებოდნენ. კარგი გუნდი ჰყავდათ დანიელებსაც, თუმცა, როგორც კი ინგლისი დავამარცხეთ, მივხვდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონობას ველარავინ შეგვეცილებოდა.

**— ასეთი თამაშის მოგების შემდეგ ხომ არ შეშინდით, რომ ფეხბურთელები მოტივაციას დაკარგავდნენ?**

— არა, რადგან ამ ჩემპიონატისთვის ოთხი წლის განმავლობაში ინტენსიურად ვემზადებოდით. მე ვიცოდი, როგორ მოიქცეოდნენ ფეხბურთელები ასეთი მომზადების შემდეგ. ხომ გახსოვთ, რომ გიამბეთ, ამ ოთხი წლის განმავლობაში მათთან სახლშიც კი მივდიოდი და ვრჩებოდი-მეთქი? ერთი სიტყვით, ჩემი მოთამაშეების შესახებ აბსოლუტურად ყველაფერი ვიცოდი, მათ კი იცოდნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ბრძოლა და სიძნელეები ელოდათ. მაშინ ბევრი ადამიანი მაფრთხილებდა, რომ მუნდიალი ფსიქოლოგიური დატვირთვაა, რომელსაც ყველა ვერ უძლებს, მე კი მწამდა, რომ არგენტინის ნაკრები ამ დატვირთვისთვის მზად იყო. ექიმობის დროიდან მტკიცედ მაქვს სისხლში გამჯდარი: საოპერაციოში რომ შედიხარ, აღარ უნდა ინერვიული, მორჩა! იგივეა ფეხბურთშიც: მოედანზე რომ გადიხარ, ნერვიულობას გასახდელში ტოვებ! ეს ბიჭებისთვისაც მრავალჯერ მქონდა ნათქვამი. ზოგადად, ფსიქოლოგია უმნიშვნელოვანესია, მას შეუძლია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი როლის შესრულება.

**— მოდით, მექსიკის სტადიონებზე მარადონას გამოსვლაზე ვილაპარაკოთ...**

— მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრა 1985 წლის 18-19 ნოემბერს გაიმართა და მაშინ ყველა, ფეხბურთელიც, მწვრთნელიც და ჟურნალისტიც დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიოს მთავარი კაცი მიშელ პლატინი გახლდათ. მას საფრანგეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონის ტიტული ახალი მოგებული ჰქონდა და დიდებულ ფორმაშიც იყო. პლატინის მერე ასახელებდნენ კარლ-ჰაინც რუმენიგეს, ზიკოსა და მარადონას. ვფიქრობ, სწორედ ეს ალმართი აიარა დიეგომ იმ ჩემპიონატის განმავლობაში და არა მხოლოდ ინდივიდუალური თამაშით. ის ჩინებულად ეწყობოდა პარტნიორებსაც...

...სხვათა შორის, მანამდე დიეგო მეურვეებს თავიდან არ იცილებდა. ეს „ნაპოლიში" ვნახე და მაშინვე ვუთხარი: დიეგო, სჯობს, თამაშის მართვა სხვას გადააბარო, მაგალითად, ხორხე ბურუჩაგას, შენ კი მეურვეებს მიხედე, ისინი მოიშორე თავიდან და შეუტიე. და მართლაც, გარდა იმისა, რომ მარადონა მოედანზე საუცხოოდ გრძნობდა თავს, როგორც ინდივიდუალისტი, პარტნიორებთან ჩინებულად ურთიერთმოქმედებდა. მოკლედ, იმ ჩემპიონატზე დიეგო დიდებული იყო.

**— თქვენ უკვე ორჯერ ახსენეთ, რომ ფეხბურთელებთან ღამით შინაც რჩებოდით. განა ეს ის არის, რასაც ჩვეულებრივ მწვრთნელები აკეთებენ? რა ტიპის მწვრთნელი იყავით, ბოლოს და ბოლოს?**

— ასეთი რამ ხშირად გამიკეთებია, ჯერ გვივახშმია, შემდეგ კი დილამდე ვიდეო გვინახავს. მახსოვს, ერთხელ პასარელასთან ვიყავი ფლორენციაში. ღამის პირველი საათი იყო, როდესაც მან თავისი მანქანა მათხოვა და გამომისტუმრა, მაგრამ დავიკარგე და დილის ექვს საათამდე ქალაქში წრეები ვუარე. აი, ამის შემდეგ დავიწყე მათთან დარჩენა. გარდა ამისა, მათ კლუბებშიც მივდიოდი და ვარჯიშებს ვესწრებოდი. ყველა მწვრთნელი ხომ თავისებურად ავარჯიშებს ფეხბურთელებს, ასე არ არის?

**— დავუბრუნდეთ მსოფლიოს ჩემპიონატს. განა ამ შეჯიბრებაზე, ფინალზე მნიშვნელოვანი თამაში არსებობს?**

— არა, რასაკვირველია. ფინალი მწვერვალია. მარტივად მივუდგეთ: დავთვალოთ, სულ რამდენი ფინალი ყოფილა, რამდენ ადამიანს მიუღია მათში მონაწილეობა და ამ ხალხიდან რამდენია დღეს ცოცხალი. სტატისტიკა შთამბეჭდავ შედეგს მოგვცემს — ძალიან ცოტა.

**— როგორ მოამზადეთ გუნდი გერმანიის ნაკრებთან სათამაშოდ?**

— ფინალისთვის მომზადება ადვილი საქმე არ გახლავთ. ყველა მწვრთნელმა იცის, რომ ფინალის წინ ფეხბურთელები ზედმეტი მღელვარებისგან უნდა დაიცვას. ამავდროულად, ყველასთვის გასაგებია, რომ ფეხბურთელებმა შენი თქმის გარეშეც იციან, რომ ეს ჩემპიონატის ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშია, რომლის მოსაგებადაც ყველა ღონე უნდა იხმარონ. მოკლედ, ვითარება ხელთ უნდა გეპყრას და არ უნდა გადაამლაშო იმაზე ლაპარაკით, რომ მთელი ქვეყანა მათ გუნდს შეჰყურებს. სხვათა შორის, თუ ფინალის წინ არ ნერვიულობ, ესეც ძალიან ცუდია. ამ შემთხვევაში რაიმე უნდა იღონო, რადგან შინაგანი ნერვიულობა ძალიან კარგიცაა.

**— ფინალში არგენტინა 2:0-ს იგებდა, მაგრამ გერმანელებმა ანგარიში გაათანაბრეს. რა რეაქცია გქონდათ ამ დროს?**

— როდესაც ანგარიში 2:0 გახდა, ჩემს თავს ვუთხარი, აი, ახლა კონტრშეტევების დროც დგება-მეთქი. ბეკენბაუერი ჩემს ახლოს, ფაქტობრივად, ჩემს გვერდით იდგა და დავინახე, ული ჰოინესს რომ უხმო. მერე ის თავის ფეხბურთელებს ანიშნებდა, მაღალი ბურთები ჩააწოდეთო. ამის მინიშნება იყო და მთელმა გერმანიის ნაკრებმა, ყოველი მხრიდან მაღალი ბურთების ჩაკიდება დაიწყო, ჰოინესი კი თავით დარტყმას ცდილობდა. ამან ძალიან გაგვირთულა მდგომარეობა. შემდეგ მათ ორი კუთხური ჩააწოდეს და ორი გოლი გაგვიტანეს. ისე გავცხარდი, ჩემს ახლოს, მოედნის კიდესთან წყლით სავსე ბოთლს ფეხი გავკარი და ხუთ მეტრზე გავაფრინე. განსაკუთრებით იმან გამაცეცხლა, რომ ფეხბურთელები სტანდარტულებზე ძალიან დიდხანს ვავარჯიშე, მათ კი მაინც და მაინც კუთხურიდან გაუშვეს ორი გოლი. მეორე მხრივ, ვატყობდი, რომ ჩემი ფეხბურთელები ნირწამხდარნი მაინც არ იყვნენ. ასეთ სიტუაციაზე წინასწარ მრავალჯერ გვქონდა ნალაპარაკევი. იცით, ეს ყველაფერი დოლს ჰგავს. არიან ცხენები, რომელთაც სხვა ცხენი თუ წამოეწევა, ნებდებიან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც პირიქით, ეს დამატებით აღიზიანებთ და ისე მოჰკურცხლავენ, მათი დამწევი უკვე აღარავინ არის...

...მერე, მახსოვს, სუბელდიაზე ვფიქრობდი. ამ დროს ვიღაც ზურგიდან მომიახლოვდა და მხარზე ხელი დამადო. მოვტრიალდი და დავინახე, ეს ბეკენბაუერი იყო, გამარჯვებას მილოცავდა. მე არ ვხუმრობდი, რადგან ვერაფრით შევეგუებოდი იმ აზრს, რომ მეტოქემ ორი გოლი კუთხურიდან გაგვიტანა და ანგარიში გაგვითანაბრა. შემდეგ გასახდელში ჩავედი და სინიორ ალფონსინს ველაპარაკე. ის მაშინ არგენტინის პრეზიდენტი იყო. ეს ლაპარაკი რომ დასრულდა, სატელევიზიო ინტერვიუს გამო შევყოვნდი. რაღაც ტექნიკური პრობლემა იყო. სტადიონზე დავრჩი, კიბე-კიბე გადავედი საპირისპირო მხარეს, ინტერვიუს მერე კი სადღაც ცარიელ ადგილას აღმოვჩნდი და ჩემს თავს ვკითხე, რა მინდოდა იქ. ვიდექი მარტო, უცხო ადგილას, მერე ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დამინახა, მოვიდა, თავის მანქანაში ჩამსვა და სასტუმროში წამიყვანა. ფეხბურთელები ზეიმობდნენ, მე კი ჩემს ოთახში ავედი და ჩავიკეტე. კუთხურიდან გაშვებული იმ ორი გოლის გამო საშინელ გუნებაზე ვიყავი.

**— კი მაგრამ, რა რეაქცია გქონდათ, ხორხე ბურუჩაგამ გამარჯვების გოლი რომ გაიტანა?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე 500 მატჩი მაქვს, როგორც მწვრთნელს ჩატარებული და ამიტომაც ვამბობ ასე დაბეჯითებით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე საპასუხისმგებლო და დიადი თამაში არ არსებობს — ბურუჩაგამ გოლი რომ გაიტანა, რა გავაკეთე, იცით, პირველი? დაცვას გავხედე, რადგან ფეხბურთელები ყველანი გოლის საზეიმოდ გაიქცნენ და მინდოდა დამენახა, რამდენად აირია უკანა ხაზის წყობა. ფოტოც კი არსებობს, როგორ ვდგავარ მარადონასა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან და ვეუბნები, სასწრაფოდ დაცვისკენ გაიქცნენ, რათა გოლი არ გავუშვათ. ხომ იცით, როგორ არის: შენ სხვა რაღაცაზე ხარ გადართული, მეტოქე კი ფხიზლად რჩება, უეცრად ათამაშებს კომბინაციას და გოლი გააქვს...

**— და რა გაიფიქრეთ, როდესაც პირველად აღმართეთ თასი?**

— არა, მე თასს არ შევხებივარ და თასით ჩემი ფოტოც, ამიტომ არ არსებობს, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ, ჩემმა ბიჭებმა რომ იზეიმეს. დიდებული ფოტოა, მარადონა თასს რომ კოცნის. ეს გამარჯვება განსაკუთრებით გასახარი იყო, მით უფრო იმ კრიტიკის შემდეგ, ჩვენ რომ დაგვატყდა თავს.

**— ხომ არ გაიხსენებდით, როგორ იზეიმეს ფეხბურთელებმა, სტადიონიდან სასტუმროში რომ დაბრუნდნენ?**

— ხომ გითხარით, ფეხბურთელები არ მინახავს, რადგან გვიან მივედი. სანამ პრეზიდენტ ალფონსინს ველაპარაკე 20 წუთი, ფეხბურთელებს საპატიო წრე უკვე შემოურბენიათ „აცტეკაზე". მარტო დარჩენილი, როგორც გითხარით, ჩემს ოთახში ჩავიკეტე. თურმე ყველას აინტერესებდა, რა დამემართა. შემდეგ ისევ ფეხბურთელებმა მოიფიქრეს, მოსულიყვნენ და ეკითხათ, რამე ხომ არ გიჭირსო.

**— ერთი სიტყვით, თასი ჯერ კიდევ ასაღმართი გქონიათ.**

— დიახ, ძალიან მინდა, თასით და მედლით ფოტო მქონდეს, მაგრამ წარსულს ხომ ვერ დავაბრუნებ. თან, წარსულს არასდროს მივტირი, მე ის კაცი ვარ, მხოლოდ წინ რომ იყურება.

**— ჰო, მართლა... ხალხი ამბობს, რომ ის ფინალი დამთავრდა თუ არა, თქვენ 1990 წლის ჩემპიონატზე დაიწყეთ ფიქრი და ზრუნვა...**

— დიახ, სწორედ ასე იყო. მისმინეთ, რომ გითხარით, თასით ფოტო არ მაქვს-მეთქი, იმ დღეებშივე რატომ არ გადავიღე, იცით? იმიტომ, რომ პირობა დავდე, იმავე თასს ოთხი წლის შემდეგ მოვიგებდი და ფოტოსაც მაშინ გადავიღებდი. რას იტყვით, კინაღამ მართლა არ ავასრულე ნათქვამი? ამ პირობის დადებით საკუთარ თავს სტიმული მივეცი. მახსოვს, ფინალი რომ დამთავრდა, ვუცქერდი, როგორ ზეიმობდნენ გერმანელები. კინაღამ ვთხოვე, თასთან ფოტო გადამაღებინეთ-მეთქი, მაგრამ ვიგრძენი, რომ შემრცხვებოდა და თავი შევიკავე.

**— 1986 წელს თასი რომ მოიგეთ, არგენტინაში როგორ დაგხვდნენ?**

— უამრავმა ადამიანმა იზეიმა, მგონი, ორი მილიონი კაცი გამოვიდა ქუჩებში. მთავრობის სასახლისკენ რომ მივდიოდით, გზად იმდენი ხალხი გვხვდებოდა, რომ მართლა ძალიან ნელა ვმოძრაობდით. შემდეგ, პლასა დე მაიოს მოედანზე გამარჯვება მათ მივუძღვენით. ჩვენ და არგენტინელი ხალხი მარად ერთნი ვიყავით.

**— თქვენ 1990 წლის გერმანიის ნაკრები ახსენეთ. როგორ გაიხსენებდით იმ გუნდს?**

— მშვენიერი გუნდი იყო. ფინალის წინა დღეს, მასპინძლებმა „სტადიო ოლიმპიკოს" მოედაზე ორივე გუნდი შეგვიშვეს. პირველად არგენტინამ ივარჯიშა, შემდეგ გერმანიამ. ჩვენს ვარჯიშს ოთხი ფეხბურთელი აკლდა, რუჯერისაც ფეხი სტკიოდა. ის ორივე ტაიმს ვერაფრით გაუძლებდა და ეს მაშინ, როდესაც მას კლინსმანის მეურვედ ვამზადებდი. თამაში გერმანიამ მოიგო — გოიკოეჩეამ პენალტის მოგერიება ვერ შეძლო. მერე კი მე გავაკეთე იგივე, რაც ოთხი წლის წინ ბეკენბაუერმა — მივედი და მივულოცე.

*ამ დროს, fifa.com-ის ჟურნალისტებმა ბილარდოს თასი შეუტანეს...*

— დახედეთ, რა ლამაზი ყოფილა. პირველად მიჭირავს ხელში... პირველად ვიღებ ამ თასით ხელში ფოტოს... მარტო სურათებზე და ტელევიზორში მაქვს ნანახი... რა პატარა და სხვანაირი ყოფილა... ახლაც, 20 წლის შემდეგაც სხვანაირი გრძნობა დამეუფლა...








# ახალი შეტევა კაკაზე

## რეალის ან ა, ან ბ

**მადრიდის** „რეალის" პრეზიდენტი რამონ კალდერონი სამომავლო სატრანსფერო პოლიტიკას იმაზე ააგებს, ზაფხულში კასტილიელები ნანატრ კაკას იყიდიან, თუ არა.

მედიის ცნობით, ორშაბათს „ბერნაბეუზე" სენიორ კალდერონი, სამეფო კლუბის სპორტული და გენერალური დირექტორები, პრედრაგ მიატოვიჩი და ხოსე ანხელ სანჩესი შეიკრიბებიან და „მილანზე" სატრანსფერო შეტევის მორიგ გეგმას დაადგენენ. ამავე შეხვედრაზე „რეალიდან" ფაბიო კაპელოს წასვლა უნდა გამოცხადდეს ოფიციალურად, ბერნდ შუსტერს და მიგელ ანხელ პორტუგალს კი კასტილიური გრანდის მწვრთნელობას და ტექნიკურ დირექტორობას ჩააბარებენ.

ამბობენ, რომ „რეალის" თავკაცობას ტრანსფერებისთვის 110 მილიონი ევრო აქვს გამზადებული. „ასის" ვერსიით, ამ თანხიდან 80 მილიონი ევრო „ბერნაბეუზე" კაკას გადაყვანას უნდა მოხმარდეს. თავის დროზე, ფლორენტინო პერესის „რეალმა" ზინედინ ზიდანში 75 მილიონი გადაიხადა, ახლა კი მადრიდელები მზად არიან, მეტი გულუხვობა გამოიჩინონ.

80 მილიონი ევრო ესპანურ მედიასთან საუბარში კაკას წარმომადგენელმა დიეგო კოშომაც ახსენა.

„თუ „რეალმა" კაკა იყიდა, ეს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი იქნება. მადრიდელთა შემოთავაზება ძალიან სერიოზულია, თუმცა იცით, კაკას „მილანიდან" გადასვლა რამდენ სირთულესთან არის დაკავშირებული? 31 აგვისტომდე შეიძლება არაფერი გაირკვეს" — თქვა ბრაზილიელის აგენტმა.

„რეალში" არსებობს სატრანსფერო „ა" და „ბ" გეგმები. პირველის მიხედვით, თუ „მილანი" 80 მილიონზე დათანხმდა და კაკაც მადრიდში დაბინავდა, კალდერონი შეეცდება, ფული აღარ გაფლანგოს და „რეალში" ის ფეხბურთელები მიიყვანოს, რომელთაც თავიანთ კლუბებთან კონტრაქტები უკვე დაუმთავრდათ. ასეთები არიან ხავიერ სავიოლა, გაბრიელ ჰაინცე, კლოდ მაკელელე და ირჯი დუდეკი.

მეორე გეგმის მიხედვით, თუ სილვიო ბერლუსკონიმ კაკას ტრანსფერი ჩაშალა, „რეალი" ბრაზილიელისთვის გამზადებული თანხით სამ-ოთხ მნიშვნელოვან ფეხბურთელს იყიდის. ოღონდ ახალწვეულები „გალაქტიკოსთა კატეგორიიდან" არ იქნებიან. კაკას „მილანში" დარჩენის შემთხვევაში, კასტილიურ გუნდში ალბათ დანიელ ალვეში, არიენ რობენი და სესკ ფაბრეგასი მიელენ.

**ლადო ხომერიკი**

# კი არ ვიყიდოთ. შევინარჩუნოთ!

## სილვამ და ბარახამ ღამე ფრენა არჩიეს

**დავიდ სილვამ** და რუბენ ბარახამ „ვალენსიასთან" კონტრაქტები გაახანგრძლივეს.

„ჩემი უპირველესი მიზანი „მესტალიაზე" დარჩენა იყო, თუმცა არ დავმალავ, რომ სატრანსფერო წინადადებებით სხვა კლუბებმაც მომმართეს" — განაცხადა დავიდ სილვამ.

წარმოშობით კანარელი ნახევარმცველი „მესტალიაზე" 2013-14 წლების სეზონამდე, ანუ ძველი კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის შემდეგ, კიდევ ორი წელიწადი დარჩება.

სილვასთან ხელშეკრულების ანულირება კი ამიერიდან 90 მილიონი ევრო ეღირება.

„მოხარული ვარ, რომ კლუბს ჩემი სჯერა. ამ ნდობისთვის მადლობას მოგახსენებთ" — აღნიშნა სილვამ.

რუბენ ბარახას ოდინდელი ხელშეკრულებით, „ვალენსიაში" 2008 წლამდე უნდა ეთამაშა, ახლა კი „ღამურათა" ფეხბურთელი 2010 წლამდე იქნება.

„შესანიშნავია, რომ „ვალენსიასთან" კონტრაქტი გავახანგრძლივე. ამ კლუბის წარმატებისთვის







თავს არ დავზოგავ" — თქვა ბარახამ.

თავის მხრივ, კლუბის პრეზიდენტმა ხუან ბაუტისტა სოლერმა ბიჭებს „ვალენსიას" ერთგულებისთვის მადლობა უთხრა და აღნიშნა, რომ მისი გუნდის ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფერები ახლების ყიდვა კი არა, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელების შენარჩუნებაა.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 18:30 | 3 | დინამო მ-როსტოვი | 1.55 | 3.20 | 5.30 | 1.04 | 1.19 | 1.99 |
| 12:00 | 4 | ენერგია-ხიმკი | 1.15 | 3.20 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 2.02 |
| 21:00 | 5 | ყუბანი-რუბინი | 2.30 | 2.70 | 3.10 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 16:00 | 6 | ამკარი-მოსკოვი | 2.60 | 2.50 | 2.75 | 1.27 | 1.33 | 1.30 |
| 14:00 | 7 | კრილია-ცსკა მ | 3.00 | 2.90 | 2.15 | 1.47 | 1.25 | 1.23 |
| 13:00 | 8 | ტომსკი-ლოკომოტივი მ | 2.85 | 2.70 | 2.35 | 1.38 | 1.28 | 1.25 |
| 19:00 | 9 | ზენიტი-ნალჩიკი | 1.30 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.56 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 10 | ორჰუსი-ჰელერუპი | 1.55 | 3.80 | 4.10 | 1.10 | 1.12 | 1.97 |
| 17:00 | 11 | ბრაბრანდი-ფრედერისია | 1.65 | 3.50 | 3.65 | 1.12 | 1.13 | 1.78 |
| 17:00 | 12 | ფრემადი-სიონდერიისკე | 2.50 | 3.50 | 2.15 | 1.45 | 1.15 | 1.33 |
| 17:00 | 13 | კიოგე-აკადემისკი | 1.80 | 3.40 | 3.30 | 1.17 | 1.16 | 1.67 |
| 17:00 | 14 | ლიუნგბიუ-ჰერფიოლგე | 1.95 | 3.40 | 2.75 | 1.23 | 1.14 | 1.52 |
| 17:00 | 15 | ნესტვედი-კოლდინგი | 2.10 | 3.40 | 2.60 | 1.29 | 1.16 | 1.47 |
| 17:00 | 16 | იოლსტიკე-ფრემი | 2.25 | 3.30 | 2.50 | 1.33 | 1.18 | 1.42 |
| 17:00 | 17 | ტისტედი-ორჰუსი ფრ | 1.90 | 3.40 | 3.00 | 1.21 | 1.16 | 1.59 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 26 | ალესუნდი-ვოლერენგა | 2.80 | 3.20 | 2.10 | 1.49 | 1.20 | 1.26 |
| 24 ივნისი | | | | | | | | |
| 20:00 | 27 | ლილესტრიომი-სტარტი | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 20:00 | 28 | ოდ გრენლანდი-სანდეფიორდი | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 20:00 | 29 | სტრომსგოდსეტი-ფრედრიკსტადი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 20:00 | 30 | ტრომსიო-სტაბეკი | 2.30 | 3.20 | 2.55 | 1.33 | 1.20 | 1.41 |
| 22:00 | 31 | ვიკინგი-ბრანი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 32 | ლინი-რუსენბორგი | 2.55 | 3.20 | 2.30 | 1.41 | 1.20 | 1.33 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 41 | ბოდიო გლიმტი-სოგნდალი | 1.60 | 3.50 | 4.30 | 1.09 | 1.16 | 1.92 |
| 20:00 | 42 | ჰამარო-ჰიონეფოსი | 1.35 | 3.90 | 6.00 | 1.00 | 1.10 | 2.36 |
| 20:00 | 43 | ჰაუგესუნდი-რაუფოსი | 1.42 | 3.80 | 5.50 | 1.03 | 1.12 | 2.24 |
| 20:00 | 44 | კონგსვინგერი-მოსი | 2.65 | 3.30 | 2.20 | 1.46 | 1.20 | 1.32 |
| 20:00 | 45 | მოლდე-ბრინი | 1.55 | 3.60 | 4.40 | 1.08 | 1.14 | 1.98 |
| 20:00 | 46 | ნოტოდენი-მანდალი | 1.55 | 3.60 | 4.50 | 1.08 | 1.15 | 2.00 |
| 20:00 | 47 | სკეიდი-სპარტა ს | 2.15 | 3.30 | 2.65 | 1.30 | 1.18 | 1.46 |
| 20:00 | 48 | ტრომსდალენი-ლოვ ჰამი | 2.15 | 3.30 | 2.75 | 1.30 | 1.20 | 1.50 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 53 | გეფლე-ჰალმსტადი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 54 | გაის-აიკ | 2.50 | 3.20 | 2.35 | 1.40 | 1.21 | 1.35 |
| 21:00 | 55 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 2.80 | 3.20 | 2.10 | 1.49 | 1.20 | 1.26 |
| 21:00 | 56 | იორებრო-იურგორდენი | 2.60 | 3.10 | 2.30 | 1.41 | 1.22 | 1.32 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 63 | იორგრიტე-სუნდსვალი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 19:00 | 64 | ენჩიოპინგი-ბანკეფლო | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 19:00 | 65 | ატვიდაბერგი-ჰეკენი | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 66 | მიალბი-სილვია | 1.75 | 3.30 | 3.80 | 1.14 | 1.19 | 1.76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 68 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.35 | 3.10 | 2.55 | 1.33 | 1.22 | 1.39 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 09:00 | 84 | შიმიცუ-ურავა | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| 10:00 | 85 | კავასაკი-ივატა | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 11:00 | 86 | იჩიჰარა-ნიიგატა | 2.25 | 3.20 | 2.55 | 1.32 | 1.19 | 1.41 |
| 12:00 | 87 | იოკოჰამა ფკ-კაშივა | 2.70 | 3.10 | 2.20 | 1.44 | 1.21 | 1.28 |
| 14:00 | 88 | გამბა-ტოკიო | 1.30 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.56 |
| 14:00 | 89 | კოფუ-ოიტა | 2.25 | 3.10 | 2.60 | 1.30 | 1.20 | 1.41 |
| 14:00 | 90 | კობე-ჰიროსიმა | 2.20 | 3.10 | 2.70 | 1.28 | 1.21 | 1.44 |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 10:00 | 91 | ომია-იოკოჰამა ფმ | 2.30 | 3.20 | 2.50 | 1.33 | 1.19 | 1.40 |
| 11:00 | 92 | კაშიმა-ნაგოია | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 96 | ნიუ ინგლენდი-ტორონტო | 1.50 | 3.30 | 5.60 | 1.03 | 1.18 | 2.07 |
| 23:45 | 97 | კოლორადო-დალასი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 23:45 | 98 | სოლტ ლეიკი-ვაშინგტონი | 2.80 | 3.20 | 2.15 | 1.49 | 1.21 | 1.28 |
| 23:45 | 99 | ლოს ანჯელესი-კოლამბუსი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 100 | კანზასი-ჰიუსტონი | 1.80 | 3.20 | 3.55 | 1.15 | 1.19 | 1.68 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 102 | ჟუვენტუდი-ფიგეირენსე | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 110 | პარანა-სპორტ რისაიფი | 1.40 | 3.70 | 5.75 | 1.01 | 1.12 | 2.25 |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 103 | ნაუტიკო-გოიასი | 2.05 | 3.10 | 2.90 | 1.23 | 1.20 | 1.49 |
| 23:00 | 104 | პალმეირასი-ატლეტიკო პრ | 1.75 | 3.30 | 3.75 | 1.14 | 1.19 | 1.75 |
| 23:00 | 105 | კრუზეირო-ატლეტიკო მნ | 2.60 | 3.10 | 2.20 | 1.41 | 1.19 | 1.28 |
| 23:00 | 106 | სანტოსი-სან პაულუ | 2.10 | 3.10 | 2.80 | 1.25 | 1.20 | 1.47 |
| 23:00 | 107 | ამერიკა-ფლუმინენსე | 2.75 | 3.10 | 2.10 | 1.45 | 1.19 | 1.25 |
| 23:45 | 109 | ინტერნასიონალი-გრემიო | 1.95 | 3.20 | 3.10 | 1.21 | 1.19 | 1.57 |
| | | **ევ. შესარჩევი** | | | | | | |
| | | მატჩები(21) | | | | | | |
| | | ჰოლანდია | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 203 | ჰოლანდია 21-სერბეთი 21 | 1.85 | 3.20 | 3.30 | 1.17 | 1.18 | 1.62 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.80 | 3.20 | 3.65 | 1.15 | 1.20 | 1.70 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 115 | ზაგრები(ხორ)-ვლაჟნია(ალბ) | 1.20 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 3.14 |
| 18:00 | 116 | ჰამარბი-კლაკსვიკი(ფარ) | 1.05 | 8.00 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 5.33 |
| 23:45 | 117 | ვალური(ისლ)-კორკი | 2.35 | 3.10 | 2.55 | 1.33 | 1.22 | 1.39 |
| 17:30 | 226 | კლიფტონვილი(ჩ ირლ)-დინაბურგი(ლატ) | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 20:00 | 230 | [illegible] | 10.00 | 5.20 | 1.20 | 3.42 | 1.07 | 1.00 |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 118 | ბირკირკარა(მალტა)-მარიბორი(სლოვ) | 5.80 | 3.80 | 1.37 | 2.29 | 1.10 | 1.00 |
| 20:00 | 119 | ჰონკა-ტვმკ ტალინი(ესტ) | 1.35 | 3.80 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.39 |
| 19:00 | 231 | გლორია ბის(რუმ)-გრბალი(ჩერნ) | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 20:00 | 232 | ვეტრა(ლიტ)-ლანელი(უელ) | 1.45 | 3.80 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.35 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | დინამო მ-როსტოვი | 1.80 | 2.10 | 5.65 | 1.00 | 1.36 | 1.53 |
| 10005 | ყუბანი-რუბინი | 2.60 | 1.90 | 3.50 | 1.09 | 1.49 | 1.23 |
| 10026 | ალესუნდი-ვოლერენგა | 3.15 | 2.00 | 2.50 | 1.22 | 1.39 | 1.11 |
| 10054 | გაის-აიკ | 2.90 | 2.00 | 2.60 | 1.18 | 1.37 | 1.13 |
| 10055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 3.15 | 2.00 | 2.45 | 1.22 | 1.37 | 1.10 |
| 10056 | იორებრო-იურგორდენი | 2.95 | 2.00 | 2.65 | 1.19 | 1.39 | 1.13 |
| 10068 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.70 | 2.00 | 2.85 | 1.14 | 1.38 | 1.17 |
| 10111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 2.25 | 2.00 | 3.95 | 1.05 | 1.43 | 1.32 |
| 10203 | პოლანდია 21-სერბეთი 21 | 2.25 | 2.00 | 3.65 | 1.05 | 1.39 | 1.29 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | დინამო მ-როსტოვი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11005 | ყუბანი-რუბინი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11026 | ალესუნდი-ვოლერენგა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11054 | გაის-აიკ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11056 | იორებრო-იურგორდენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11068 | მარიეჰამნი-მიუპა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11203 | პოლანდია 21-სერბეთი 21 | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | დინამო მ-როსტოვი | 1.30 | 2.50 |
| 14005 | ყუბანი-რუბინი | 1.80 | 2.00 |
| 14026 | ალესუნდი-ვოლერენგა | 2.10 | 1.75 |
| 14054 | გაის-აიკ | 2.00 | 1.80 |
| 14055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 2.10 | 1.75 |
| 14056 | იორებრო-იურგორდენი | 2.00 | 1.80 |
| 14068 | მარიეჰამნი-მიუპა | 1.80 | 2.00 |
| 14111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.65 | 2.30 |
| 14203 | პოლანდია 21-სერბეთი 21 | 1.65 | 2.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12003 | დინამო მ-როსტოვი | 1.50 | 2.00 |
| 12005 | ყუბანი-რუბინი | 1.50 | 2.00 |
| 12026 | ალესუნდი-ვოლერენგა | 1.90 | 1.60 |
| 12054 | გაის-აიკ | 1.60 | 1.80 |
| 12055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1.60 | 1.80 |
| 12056 | იორებრო-იურგორდენი | 1.60 | 1.80 |
| 12068 | მარიეჰამნი-მიუპა | 1.60 | 1.80 |
| 12111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.55 | 2.00 |
| 12203 | პოლანდია 21-სერბეთი 21 | 1.50 | 2.00 |

### ფრეს ბარიერი. (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | დინამო მ-როსტოვი | 1.17 | 4.10 |
| 16005 | ყუბანი-რუბინი | 1.62 | 2.05 |
| 16026 | ალესუნდი-ვოლერენგა | 1.95 | 1.65 |
| 16054 | გაის-აიკ | 1.82 | 1.82 |
| 16055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1.95 | 1.65 |
| 16056 | იორებრო-იურგორდენი | 1.82 | 1.82 |
| 16068 | მარიეჰამნი-მიუპა | 1.65 | 2.05 |
| 16111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.30 | 3.00 |
| 16203 | პოლანდია 21-სერბეთი 21 | 1.32 | 3.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | დინამო მ-როსტოვი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15005 | ყუბანი-რუბინი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15026 | ალესუნდი-ვოლერენგა | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15054 | გაის-აიკ | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15056 | იორებრო-იურგორდენი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15068 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15203 | პოლანდია 21-სერბეთი 21 | 2.70 | 2.70 | 2.00 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | დინამო მ-როსტოვი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ყუბანი-რუბინი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ალესუნდი-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |
| 17054 | გაის-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | იორებრო-იურგორდენი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | მარიეჰამნი-მიუპა | 1.85 | 1.95 |
| 17111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17203 | პოლანდია 21-სერბეთი 21 | 1.85 | 1.95 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13026 | ალესუნდი-ვოლერენგა | 1.50 | 2.00 |
| 13054 | გაის-აიკ | 1.60 | 1.80 |
| 13055 | ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 1.60 | 1.80 |
| 13056 | იორებრო-იურგორდენი | 1.60 | 1.80 |
| 13111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.60 | 1.80 |
| 13203 | პოლანდია 21-სერბეთი 21 | 1.80 | 1.60 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ჭადრაკი

# ჩოგბურთივით ჭადრაკი

## გატამ, შემდეგ ციკლში მე გავიტანო



33 წლის გატა კამსკიმ ახლახან ელისტაში მსოფლიოს შესარჩევ ტურნირზე ითამაშა. პირველ ეტაპზე ამერიკელმა მოჭადრაკემ ფრანგი ეტიენ ბაკრო შემუსრა 3,5:0,5, თუმც შემდეგ ებრაელ ბორის გელფანდთან 1,5:3,5 წააგო და ასპარეზობას გამოეთიშა. მსოფლიოს მე-10 ჩემპიონი ბორის სპასკი ტურნირს ბოლომდე ესწრებოდა და კამსკის მარცხი გაუკვირდა. „გელფანდს ჭადრაკში უფრო დიდი გამოცდილება აქვს, თუმც გატა მაინც მასზე ძლიერი მგონია" — განაცხადა ექსჩემპიონმა. მიუხედავად წარუმატებლობისა, კამსკის ყურები არ ჩამოუყრია და მომდევნო საჩემპიონო ციკლისთვის აქედანვე დაიწყო მზადება. გატას რუსი ჟურნალისტი გაესაუბრა

— ბაკროსთან საინტერესო პარტიები გამომივიდა. ფრანგი შეტევაზე თამაშობდა და დაცვას დიდ ყურადღებას არ აქცევდა, ამიტომაც შავი ფიგურებით ორი პარტია მოვუგე. ამის შემდეგ კი მეტოქე აირია და მატჩები ჩემს სასარგებლოდ დავასრულე.

**— მგონი, გელფანდთან თქვენც იგივე მოგივიდათ?**

— თითქმის მსგავსი მდგომარეობა იყო. მესამე პარტიაში ცაიტნოტში აღმოვჩნდით და შანსები ორივეს გვქონდა, მაგრამ შევცდი და ქულაც ვაჩუქე.

**— თქვენ მეხუთე პარტიაც წააგეთ...**

— ეგ უკვე გადამწყვეტი შეხვედრა იყო და, სამწუხაროდ, ვერც მანდ ვიხეირე. ბორისმა ჭკვიანურად ითამაშა, ახალი ტაქტიკა შეიმუშავა და მომიგო. ვფიქრობ, რომ გელფანდი ჩემთან უშეცდომო იყო და დამსახურებულად გაიმარჯვა. გელფანდი ჩემთვის საკმაოდ უხერხული მეტოქეა, მას რომ მოუგო, კარგად უნდა მოემზადო, რისი დროც ნამდვილად არ მქონდა.

**— ახლა რა გეგმები გაქვთ?**

— ცოლთან ერთად კანადაში ვაპირებ წასვლას. მინდოდა, ფილადელფიაში World Open-ის ტურნირზე მეთამაშა, მაგრამ 30-ში იწყება და მომზადებას ვერ მოვასწრებ. თანაც იციან, რომ ელისტაში ჩავფლავდი და ყველა დაჩაგვრას დამიპირებს. მინდა, მაინცში ფიშერის ჭადრაკი ვითამაშო. აქ თეორიას არ ვიყენებთ და უფრო სწრაფ აზროვნებას ვეყრდნობით.

**— ფიდეს რეიტინგში აიწიეთ თუ დაბლა დაეშვით?**

— არ ვიცი, თამაშისას რეიტინგზე არ ვფიქრობ და დაწინაურება ყოველთვის შემიძლია. ახლა კი, მგონი, მე-19 ვარ.

**— წლის ბოლოს ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს თასზე გამოხვალთ?**

— ვაპირებ. ოღონდ ვერ გეტყვით, მანდ რეიტინგით მოვხვდები თუ შესარჩევიდან. ხანტი-მანსიისკში ახალი სისტემა შემოიღეს და საინტერესო იქნება.

**— თამაში გსიამოვნებთ?**

— რა თქმა უნდა. ჭადრაკის თამაში მუდამ მიხარია. ზოგჯერ ეს ჩემთვის სამუშაოა, ზოგჯერ კი გართობა.

**— ფიზიკურ ფორმას როგორ ინარჩუნებთ?**

— ზღვის სანაპიროსთან ვცხოვრობ და დილაობით სხვებთან ერთად დავრბივარ. ელისტაში კარგი კვება მქონდა და, მგონი, მოვსუქდი. ახლა სირბილი ნამდვილად მომიხდება

**— კმაყოფილი ხართ, ჭადრაკს რომ დაუბრუნდით?**

— რა თქმა უნდა

**— სექტემბერში მექსიკაში გამართ მსოფლიოს ჩემპიონატს ალბათ უყურებთ?**

— რა თქმა უნდა. მაგრამ რაღაც ეს სისტემა არ მომწონს. სიმართლე გითხრათ, იდეალური სისტემა არ არსებობს, ვინმე აუცილებლად იქნება უკმაყოფილო. მთავარია დემოკრატიული იყოს და ვინმემ ზედმეტი პრივილეგია არ მიიღოს. ფიდეს ფინალური მატჩების ტრადიციის აღდგენა სურს, მაგრამ, მგონი, არასწორია, როცა ერთი ადამიანი ორი წელი ელოდება მეტოქეს. ჩემი აზრით, ჭადრაკი ჩოგბურთივითაა. მას სარეიტინგო სისტემა და ტურნირები მოუხდებოდა.

**— თქვენ ალბათ ჩემპიონობა გინდათ.**

— ვის არ უნდა ჩემპიონობა.

**— საკმაოდ ძლიერი ახალი თაობა წამოვიდა, გაუწევთ მათ კონკურენციას?**

— ყველაფერი პიროვნებაზეა დამოკიდებული. თუ ადამიანს რამის გაკეთება უნდა, ამისთვის ბევრი შრომაც დასჭირდება. მე ყველაფერს შევეცდები და ალბათ გამომივა. ვფიქრობ, შემდეგი ციკლი ჩემი იქნება.




# ვის უნდა 20 ათასი

**უკრაინაში,** სანატორიუმ ფოროსში, აეროსვიტის ტურნირი მიმდინარეობს. გათამაშება მეორედ ტარდება და სოლიდურ საპრიზო ფონდით გამოირჩევა.

მეოთხე ტურში ექვსი პარტიიდან ხუთი ყაიმით დასრულდა, ერთში კი თეთრებმა იმარჯვეს. ჰოლანდიელმა ლუკ ვან ველმა რუსი დმიტრი იაკოვენკო 28-ე სვლაზე დაამარცხა და პირველი ადგილიდან ჩამოსვა. ლიდერთა პოზიციაზე კი 2,5-2,5 ქულით სამი მოჭადრაკეა. მასპინძლებს, ვასილ ივანჩუკს და სერგეი კარიაკინს, ესპანეთის სახელით მოთამაშე ალექსეი შიროვი უდგას გვერდით.

ტურნირი 30 ივნისს დასრულდება და მოგებული 20 ათას დოლარს მიიღებს.

**ლუკა გეგეჭკორი**

# გაზაფხული კარგი იყო, შემოდგომა უკეთესი იქნება

## სამბისტებმა აღებული და ასაღები გადათვალეს

ოლეგ იაძე



**გუშინ** სპორტის დეპარტამენტში სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, რომელსაც დელეგატებისა და ნაკრების თავკაც ოლეგ იაძის გარდა, ჟურნალისტებიც დაესწრნენ.

ფედერაციის წარმომადგენლებმა განვლილი ნახევარი წელი შეაჯამეს და ხუთი საკითხი განიხილეს.

თავიდან სიტყვა ოლეგ იაძემ აიღო — საერთო ჯამში განვლილი პერიოდის შედეგებით კმაყოფილი ვარ. ეროვნულმა ნაკრებმა სხვადასხვა შეჯიბრებებზე 7 მედალი აიღო, აქედან 3 ოქრო. ასეთი შედეგი წლეულს სხვა არც ერთ ნაკრებს არ ჰქონია.

ჭაბუკებითაც კმაყოფილი ვარ, მათ 8 მედალი მოინაგრეს. აი, ახალგაზრდული გუნდის გამოსვლას კი დადებითად ვერ შევაფასებ. ისინი მხოლოდ 4 მედალს დასჯერდნენ, თუმცა ამასაც აქვს თავისი ობიექტური ახსნა — ბიჭებს ნორმალური მომზადების საშუალება არ მიეცათ.

ამის შემდეგ სპორტსმენთა დაფინანსებაზე ითქვა. სულ 10 სამბისტი ფინანსდება, აქედან ერთი, მინდია ბოდაველი 500 ლარს მსოფლიო ჩემპიონობისთვის იღებს, დანარჩენებს კი 150-150 ლარი აქვთ.

მომდევნო საკითხი საქართველოს თასის გათამაშებაზე მომხდარი ინციდენტი იყო, რომლის განხილვასაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო. 74 კგ-ში ფინალური ორთაბრძოლა დავით შენგელიასა და გიგა წიკლაურს შორის დაპირისპირების საბაბი გახდა. მეტოქეთა მწვრთნელებმა მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტეს, ბოლოს კი შენგელიამ და მისმა მწვრთნელმა ზურაბ ტულუშმა არბიტრებს სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს.

გუშინ ორივემ ბოდიში მოიხადა მომხდარის გამო. მწვრთნელს შეცდომა აპატიეს, შეგირდს კი პირობითი, 6-თვიანი სასჯელი დააკისრეს.

ბოლოს სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს და ოლეგ იაძემ განაცხადა — ერთი თვე დავისვენებთ, შემდეგ ბათუმში დავიწყებთ მომზადებას, სექტემბრიდან კი სერიოზულ მზადებაზე გადავალთ. 7-11 ნოემბერს მსოფლიოს ჩემპიონატი გველის, რომელსაც ჩეხეთი მასპინძლობს. მთავარი მიზანიც იქ კარგად გამოსვლაა.

თუ მხოლოდ ამ ერთი შეკრებით დავკმაყოფილდით, ერთი ოქროს მოპოვებას შევძლებთ. სამი შეკრების შემთხვევაში კი — ორი ჩემპიონი გვეყოლება, შეიძლება 3-4 ოქროსაც გამოვკრათ ხელი. სულ კი სხვადასხვა სინჯის 6-7 მედალს ვგეგმავთ. არაფერს ვაჭარბებთ, ამის პოტენციალი ნამდვილად გვაქვს.

**ლექსო მაისურაძე**







გეორ და გია

# გახსოვდეს ვისი პასპორტი გაქვს!

## გეორ და გია დღეს რუსებს ხვდებიან

**მოდის** მთავარქალაქ პარიზში პლაჟის ფრენბურთში „ჰენკელის დიდი სლემი" დაიწყო, სადაც საქვიშნარო მილეთის წყვილებმა მოუყარეს თავი.

იქ არიან ქართულპასპორტიანი ბრაზილიელები, გეორ და გია და საქა-რთველო. უფრო ზუსტად, ანდრეზამ და კრისტინმა, იგივე საქა და რთველომ, პარიზული ფრენბურთობა ჯგუფურ ეტაპზე დაასრულეს. აქვე ვთქვათ, რომ მსოფლიო ეტაპისგან განსხვავებით, „ჰენკელის დიდი სლემი" სხვა ფორმატით იმართება.

დაბალრეიტინგიანები ჯერ შესარჩევ წრეებს გადიან, მერე კი ოთხწყვილა ჯგუფში ხვდებიან, საიდანაც პლეი ოფში ორი საუკეთესო გადის.

საქა და რთველო საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი მატჩის მოგებით ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ, თუმცა იქ სამივე თამაში წააგეს და პლეი ოფში ვერ გავიდნენ.

სამაგიეროდ, ყოჩაღად არიან რენატო და ჟორჟი, იგივე გეორ და გია. ქალებისგან განსხვავებით, ჩვენი კაცთა წყვილი განთესილებში მოხვდა და პარიზული ფრენბურთობა პირდაპირ ჯგუფური ეტაპიდან დაიწყო.

გეორ და გიამ პირველ მატჩში ნორვეგიელებს, კიეპერუდს და სკარლენდს 2:1 მოუგეს, მერე ამერიკელებთან, გიბთან და სტეიტესთან, 0:2 წააგეს, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში კუბელები, ალვარესი და მენდესი 2:1 დაამარცხეს და ჯგუფიდან გავიდნენ.

დღეს მერვედფინალში გეორ და გია ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილ რუსებს, ბარსუკს და კოლოდინსკის ხვდებიან. ჩვენები კი ამ ტურნირზე მე-17 ნომრად არიან განთესილები.



# უკრაინამ ვერცხლი არ დაგვანება

## ქართველებს მეორე ადგილი ლვოველებმა წაართვეს

დასრულდა უკრაინის ღია პირველობა წყალბურთელთა შორის, სადაც ქართველმა ახალგაზრდებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ჩვენები ბოლო ტურის წინ მეორეზე იყვნენ და ვერცხლის მედლების მოპოვების კარგი შანსიც ჰქონდათ, რადგან უშუალო მდევარ ლვოვის" „დინამოს" 4 ქულით უსწრებდნენ. ბოლოს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. თავიდან ისე იყო განსაღზვრული, რომ დასკვნით ტურში პირველ ოთხ ადგილზე მყოფ გუნდებს პლეი ოფის სისტემით უნდა ეთამაშათ და მედლები გაენაწილებინათ. მერე გადაწყვიტეს, წრიული სისტემით ჩაეტარებინათ თამაშები. ეს კი არ აწყობდათ მეოთხე-მეხუთე ადგილებზე მყოფ ბელარუსისა და მოლდოვის გუნდებს და მათ დასკვნით ტურში თამაშზე უარი თქვეს. ამას ისიც დაემატა, რომ გადამწყვეტ შეხვედრაში ლვოვის „დინამოსთან" ლვოველი მსაჯი დაგვინიშნეს და... უკრაინულ ამბებზე უფრო დაწვრილებით ნაკრების თავკაცმა სოსო მაისურაძემ გვიამბო



— პირველი თამაში ხარკოვის „დინამოსთან" ერთი ბურთით წავაგეთ, რაც მართლაც ქართული მენტალიტეტის გამო მოხდა. ბიჭებმა მეტოქე არ შეაფასეს, თავიდანვე სათანადოდ არ განეწყვნენ და დაისაჯნენ. არადა, ხარკოვი მონაწილეთაგან ყველაზე სუსტი გუნდია. უნდა ვთქვა, რომ აქ თავი შეუთამაშებლობამაც იჩინა გარდა ამისა, ძალიან გვაკლდა გალაკტიონ ლაითაძე, რომელიც სავიზო პრობლემების გამო ვერ შემოგვიერთდა.

მომდევნო თამაში სევასტოპოლის ნაკრებს იოლად მოვუგეთ. შემდეგ კი იყო მთავარი მატჩი ლვოვთან, სადაც წყდებოდა კიდეც ვერცხლის ბედი. ორგანიზატორებმა ლვოველი მსაჯი დაგვინიშნეს, მან ტაიმის მერე მეკარე გაგვიგდო, თან ისიც იცოდა, რომ მისი შემცვლელი არ გვყავდა, კარში აუზის მოთამაშე ჩადგა და ბუნებრივია, მას სათანადოდ ვერ დაიცავდა. აქაც ერთი ბურთით დავმარცხდით.

ყველაზე ძლიერ „მარიუპოლთან" საუკეთესო თამაში ჩავატარეთ, რადგან ბიჭები ფორმაში შევიდნენ. სამი პერიოდი ვიგებდით კიდეც, მაგრამ ბოლოს ძალა აღარ გვეყო და ორი ბურთით დავმარცხდით.

ბოლო თამაშში „მარიუპოლ-2" დიდი ანგარიშით, 20:6 დავჯაბნეთ. საბოლოოდ ლვოვმა კინკილა ქულით გვაჯობა, რაც ძალიან გულსატკენია.

— ასეთი არაობიექტურობა თუ იყო მსაჯების მხრიდან, რატომ არ გააპროტესტეთ?

— უშუალოდ თამაშის დროსაც კი გავაპროტესტეთ, მაგრამ ჯერ მეორე მწვრთნელი ირაკლი კოკალიშვილი, ხოლო მერე მეც გაგვაძევეს. მომდევნო თამაშში გუნდი ფაქტობრივად მარტო იყო. ტრიბუნიდან ვკარნახობდით ბიჭებს, რა უნდა ეკეთებინათ.

ბოლოს კი ამოიღეს ორგანიზატორებმა ხმა, მაგრამ...

ისე, გავიგეთ, უკრაინის სპორტის მინისტრის მოადგილეს უთქვამს, ქართველები ჩვენი მეგობრები არიან და ნუ ჩაგრავთო, მაგრამ რაღა დროს.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

აგვისტოს 2-ში სევასტოპოლში „ადმირალის თასის" გათამაშება იწყება, სადაც თურქეთი, მოლდოვა, ბელარუსი, უკრაინა და პოლონეთი გამოვლენ. იქ მონაწილეობა ძალიან წაგვადგება. კარგი იქნება, თუ დაგვაფინანსებენ და გაგვიშვებენ. მანამდე კი ერთი კვირა მაინც სტანდარტულ აუზზე, „ლაგუნაზე" ვარჯიში გვჭირდება.

**ლექსო მაისურაძე**

# სამი ერი 2007

# მარად და ყველგან ფავორიტი

## ახალი ზელანდია სამხრეთ აფრიკას მიუხდება



AFP

23 ივნისი. დურბანი

**სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია**

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, ვილემსე, ფური, დე ვილერსი, პეტერსენი; ჯეიმსი, პინარი; სკინსტადი, როსოუ, ბურხერი, მეტფილდი (კაპ), ბ. ბოთა, ბჯ. ბოთა, გ. ბოთა, დუ რანდტი

*სათადარიგოები:* დიუ პლესი, ფან დერ ლინდე, მიულერი, ვანენბურგი, კლაასენსი, ოლივიერი, შტეინი

*მწვრთნელი:* ჯეკ ვაიტი

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, როკოკოკო, ტოეავა, მაუგერი, სივივატუ; კარტერი, კელეჰერი; სოოიალო, მაკქოუ, კოლინზი, რავილსონი, ფლაუელი, ჰეიმანი, ოლივერი, ვუდკოკი

*სათადარიგოები:* მეალამუ, ტიალატა, ფილიპო, მასო, ვეეპუ, მაკალისტერი, მაკდონალდი

*მწვრთნელი:* გრემ ჰენრი

დღეს სამხრეთ აფრიკაში, ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე მდებარე ქალაქ დურბანში სამი ერის პირველობის მეორე სუპერჯახი გაიმართება. ახალი ზელანდია პირველ თამაშში ავსტრალიელების დამჯაბნავ სამხრეთ აფრიკას ხვდება. სტუმრობის მიუხედავად ფავორიტად მაინც „ოლ ბლექსი" ითვლება, რადგან 2000 წლის შემდეგ სამი ერის პირველობაზე გუნდებს ერთმანეთში 16-ჯერ უთამაშიათ და აქედან 14-ჯერ ახალმა ზელანდიამ იმარჯვა. მავანმა გაბედულმა მიმომხილველმა აღნიშნა, ახალი ზელანდია თხუთმეტი ქულით მოიგებსო. ორივე გუნდის მწვრთნელები თამაშს განიხილავენ, როგორც გენერალურ რეპეტიციას მსოფლიოს თასის წინ. აფრიკელი გულშემატკივრების აზრით, სწორედ ეს ორი გუნდი ითამაშებს ოქტომბერში მსოფლიოს თასის ფინალში.

რა და როგორ იქნება, ამას დრო გვიჩვენებს, ხოლო დღეს დურბანში რომ თრილერი იქნება, ამას წყალი არ გაუვა. როგორც ყოველთვის, „ქურციკები" თავით გადაეშვებიან თამაშში, არც მოწინააღმდეგეს დაინდობენ და არც საკუთარ თავს, უდიდეს ძალისხმევას და ენერგიას დაახარჯავენ „მაორებს", ოღონდ დაცვაში თუ შეტევაში, საკითხავი ესაა. თამაშის შედეგსაც მეტწილად ეს ფაქტორები განსაზღვრავს.

სამხრეთ აფრიკას შემადგენლობის მხრივ სერიოზული დანაკლისი აქვს. ავსტრალიასთან ჯახში გუნდს კაპიტანი ჯონ სმიტი და მესამეხაზელი იუან სმიტი დაშავდნენ. ჯონ სმიტის მაგიერ 2004 წელს „ქურციკებს" ჩამოყოლილი და რუსთავ-თბილისში ნალელოვები გარი ბოთა ითამაშებს, ხოლო იუან სმიტს კი შეცვლის ჩვენთვის კარგად ნაცნობი დენი როსოუ, რომელმაც წინა მსოფლიოს თასზე ქართველ „ლელოებს" ორი ლელო გაუტანა.

იმის გამო, რომ „ქურციკთა" გუნდში ფერადკანიანთა განსაზღვრულმა რაოდენობამ აუცილებლად უნდა ითამაშოს, ჯეკ ვაიტი იძულებულია, ავსტრალიასთან საოცარი არეკნების გამტანი ფრანს შტეინის ნაცვლად, ძირითად თხუთმეტში ისევ და ისევ შავტუხა ეშვინ ვილემსეს დაუჯავშნოს ადგილი.

ახალზელანდიელებს ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდათ, მაგრამ მთავარ მწვრთნელად გრემ ჰენრის მისვლის შემდეგ, „მაორებმა" მთლად ფრთები გამოისხეს. მილს მულიაინა, ჯო როკოკოკო, დენ კარტერი, რიჩი მაკქოუ- აი, იმ ვარსკვლავთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა მარტო სახელებსაც კი ნებისმიერი პროფესიონალი მორაგბე უფრთხის.

**ზურაბ მიგრიაული**



# დასეტყვილი ეტაპი



**„შვეიცარიის ტურის"** 190-კილომეტრიანი მეხუთე ეტაპი, რომელიც გუბიასკოსა და კრანს-მონტანას აერთებდა, ჯოჯოხეთური ამინდის გამო სანახევროდ შეიკვეცა და მრბოლებმა ფინიშის ხაზი რომ გადაკვეთეს, ასი კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი.

ამინდი მართლაც კოშმარული იყო — ჭექა-ქუხილი, კაკლისხელა სეტყვა და თავსხმა. სეტყვისგან გადათეთრებულ გზაზე არაფერი ჩანდა და შეჯიბრის ორგანიზატორებმაც სპორტსმენთა უსაფრთხოების გამო მანძილი დაამოკლეს.

ძნელი სათქმელია, ბოლომდე რომ ევლოთ, რა როგორ იქნებოდა და ისე კი, ამ გზის დამოკლებით ყველაზე მეტად ესპანური „კაისე დეპარგნის" რუსმა მრბოლმა ვლადიმირ ეფიმკინმა იხეირა და ფინიშის შემდეგ ლიდერის მაისურა მოირგო.

ეტაპი „რაბობანკის" ჰოლანდიელმა ტომას დეკერმა მოიგო. 22 წლის ველოსიპედისტმა 8 წამით აჯობა ავსტრიელ გერიტ გლომერს, ხოლო სამი წამის შემდეგ ფინიში იტალიელი ჯილბერტო სიმონის, რუსი ვლადიმირ კარპეცის, კიდევ ერთი იტალიელი დამიანო კუნეგოს, ესპანელი ხოსე ანხელ გომეს მარჩანტესა და ეფიმკინის ხუთკაციანმა ჯგუფმა გადაკვეთა. ლუქსემბურგელმა ფრენკ შლეკმა, ვინც გენერალურ კლასიფიკაციას ედგა სათავეში, წუთზე მეტი წააგო და ლიდერობა ეფიმკინს დაუთმო.

შლეკი რუსს 21 წამით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა. ამათ შორის კი მარჩანტეა, ვინც ლიდერთან 9 წამს აგებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა




# გრირმა ოსაკას შუბი შესტყორცნა

**ქალაქი** ინდიანაპოლისი ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების შიდა პირველობას მასპინძლობს. ამერიკელები ყოველთვის სერიოზულად ეკიდებიან საკუთარ ჩემპიონატებს. ახლაც ინდიანაპოლისში ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით უნდა დაკომპლექტდეს ქვეყნის ნაკრები, რომელიც აგვისტო-სექტემბერში ოსაკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე წარდგება. ამიტომ შიდა ჩემპიონატზე კუნთებს და მყესებს არავინ ზოგავს და ყველა ბოლომდე იხარჯება.

ხუთშაბათს რამდენიმე საინტერესო შედეგი აღინიშნა. მათ შორის 100 მეტრზე კაცთა საკვალიფიკაციო გარბენებში, სადაც ქვეყნის უძლიერესმა 100-მეტროსანმა ტაისონ გაიმ 9,98 შედეგით მოიწონა თავი. 100 მეტრის კვალიფიკაციაში კიდევ არაერთმა ცნობილმა სპრინტერმა ირბინა დამაკმაყოფილებელი შედეგით — ტრინდონ ჰოლიდეიმ 100 მეტრი 10,03 წამში ჩაატია, მარკ ჯელკსმა 10,04-ში, მიკი გრიმსმა 10,06-ში და ლეროი დიქსონმა 10,07-ში. ამ შედეგებით საკმაოდ დიდი ტურნირის მოგებაც შეიძლება, ოღონდ არა ამერიკაში, სადაც კარგი სპრინტერები ხეებზე არა, მაგრამ ლამის ყოველ ქუჩაზე იზრდებიან. ინდიანაპოლისში კიდევ იყვნენ ფეხმარდი მორბენლები, ოღონდ ფინალში ყველა ვერ მოხვდა — ვოლეს სპირმონი ტრავმამ შეაფერხა, ხოლო ქვეყნის ექსჩემპიონი ბერნარდ უილიამსი ფალსტარტის გამო მოხსნეს შეჯიბრიდან.

100 მეტრის ფინალი ამ დღეებში გაიმართება და ასეთი კომპანიის მიუხედავად, მთავარ ფავორიტად ალბათ მაინც ტაისონ გაი ჩაითვლება. წელს მან უკვე მოასწრო და ასაფა პაუელის მსოფლიოს რეკორდს, 9,77 წამს გაეთამაშა — ერთხელ 100 მეტრი 9,76 წამში დაფარა, მაგრამ რაკი ძლიერ ზურგქარში ირბინა, ეს შედეგი რეკორდად არ ჩაეთვალა. ახლა კი გაი 9,98 წამითაც კმაყოფილი იყო — ეს ისაა, რასაც ველოდი, თქვენ კი ჩემგან უფრო მეტს ელოდეთო.

ხუთშაბათს ინდიანაპოლისში ოთხ დისციპლინაში გათამაშდა ფინალი და ყველაზე დიდი ხმაური კაცთა შორის შუბის ტყორცნას მოჰყვა. საზოგადოდ, შუბის შორს ტყორცნით სკანდინავიელები უფრო მოიწონებენ თავს. ამ საქმეში პირველობენ ფინელი ტერო პიტკამაკი და ნორვეგიელი ანდრეს ტორკილდსენი, მაგრამ ოსაკაში ამათ დიდ წინააღმდეგობას გაუწევს ამერიკელი შუბმტყორცნი ბრიუ გრირი.

ეს გრირი ახლა არ გამოჩენილა, კარგა ხანია, ცდილობს თავის სახეობაში ელიტის წვერში ფეხის მოკიდებას, მაგრამ ისეთი ტრავმახშირი ვინმე გახლავთ, რომ ერთთავად ექიმებში დარბის. გრირი ამერიკის სამგზის რეკორდსმენია და ახლა თავის საამაყო შედეგებს კიდევ ერთი ეროვნული რეკორდი მიამატა — უკვე მეორე ცდაზე 91,29 მეტრზე დაასო შუბი და ძველ რეკორდს ნახევარ მეტრზე მეტი მიუმატა. გრირს რამდენიმე ცდა კიდევ ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ თავი დაანება, რაკი ტრავმის გამიზეზების შეეშინდა. „შუბი ძალიან ძლიერად არ გამიტყორცნია, მაგრამ სუფთა ნასროლი გამოვიდა — ამბობს გრირი — შემეძლო, ამ შედეგის გაუმჯობესება მეცადა, მაგრამ თავი სხვა ტურნირებისთვისაც შევინახე. ტრავმები ჩემი სისუსტეა და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ თავი ავარიდო. როცა ჯანმრთელი ხარ, ცხოვრებაც უფრო ნათელ ფერებში გეხატება, არც ვარჯიში და შეჯიბრზე გამოსვლაა ტანჯვა."

შუბის ტყორცნისა არ იყოს, 10 კილომეტრზე სირბილიც არაა ამერიკელთა პრიორიტეტი და შედეგებიც ვერ არის სულისშემხუთავი — კაცებში 28:13.51 დროით ამერიკის ჩემპიონი ალდი აბდირაჰმანი გახდა, ქალებში კი გამარჯვებულმა დინა კასტორმა 31:57.00 დრო აჩვენა.

ხუთშაბათს გამართულ მეოთხე ფინალში ქალთა სამხტომში მთლად საკვალალო შედეგი აღინიშნა, საუკეთესო იყო შანი მარქსი, ვისაც მოსაგებად სულ რაღაც 14,08 მეტრი ეყო.

**ბოტე ყორშია**

## ვაჟების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ფედერერი (1) — გაბაშვილი
- სანგინეტი — დელ პოტრო
- ჩილდსი — ქურეში
- საფინი (26) — დე ვოესტი
- ტურსუნოვი (21) — ალმაგრო
- ბერერი — მონტანესი
- ზიბი — ჰარტფილდი
- ჰაასი (13) — ფლაიშმანი
- ბლეიკი (9) — ანდრეევი
- გუზმანი — ჰაველი
- მიულერი — ერნანდესი
- ფერერო (20) — ჰაჯეკი
- კოლშრაიბერი (27) — სერა
- ტიპსარევიჩი — პეია
- ქურეი — ფალა
- გონსალესი (5) — ჯინეპრი
- როდიკი (3) — გიმელსტობი
- უდომჩოკე — ბერლოკი
- ვერდასკო — რეინოლდსი
- ჰრბატი (31) — სეპი
- ფერერი (17) — როიტმანი
- შტეპანეკი — მატიო
- ფიკლი — ჰერნიხი
- ლუბიჩიჩი (15) — სპადეა
- გასკე (12) — ულირახი
- მაჰუ — კლემანი
- ბეიკერი — როჯერ-ვასელენი
- ჩელა (24) — ბეკერი
- მოია (25) — ჰენმანი
- ლოპესი — გუდოლი
- ტსონგა — ბენეტო
- მიურეი (8) — ლაპენტი
- დავიდენკო (6) — კორილიოვი
- ბოგდანოვიჩი — გუჩიონე
- მონფილზი — იოჰანსონი
- მონაკო (32) — ვლიგენი
- ნალბანდიანი (23) — ზვერევი
- დანსევიჩი — კუბეკი
- დევილდერი — ზაბალეტა
- ბალდატისი (10) — გულბისი
- ჰიუიტი (16) — ბლუმფილდი
- გარსია-ლოპესი — ბოლელი
- მირნი — ლუ
- კანასი (22) — პასტორი
- ვოლანდრი (30) — კოფერი
- კარლოვიჩი — სანტორო
- დლოიჩი — დლუჰი
- ჯოკოვიჩი (4) — სტარაჩე
- ბერდიხი (7) — მასუ
- ვავრინკა — ლოდრა
- ლი — არგუელო
- კალერი (29) — ჰორნა
- ბიორკმანი (19) — ვისენტე
- კუნიცინი — ვანგი
- არტურსი — დე ბაკერი
- რობრედო (11) — კენდრიკი
- ოუჟნი (14) — პლესი
- ჩილიჩი — ხიმინო
- მაიერი — ვორბურგი
- ნიემინენი (18) — რასელი
- სოდერლინგი (28) — ო. როხუსი
- მარეი — გროჟანი
- ეშპაური — იდალგო
- ნადალი (2) — ფიში

## უიმბლდონი 2007. ბალახი. საპრიზო 11 282 710

# გახდება ფედერერი ხუთოსანი?



AFP

2002 წლის მერე როჯერ ფედერერი ბალახზე დაუმარცხებელია

**ლია პირველობათა**, ერაში ანუ 1968 წლიდან უიმბლდონზე ხუთჯერ მხოლოდ ორ დიად კაცს, ორ ლეგენდას — ბიორნ ბორგსა და პიტ სამპრასს უმარჯვია. წლეულს როჯერ ფედერერს შანსი აქვს, ამ „ხუთოსანთა" კლუბში ჩაეწეროს, რისთვისაც ალპელს თავის მიერვე უკვე კარგად გატკეპნილი გზის კიდევ ერთხელ გავლა დასჭირდება. ეს თუ მოახერხა, მაშინ „მხიარული როჯერი" იმავე ბორგის შემდეგ სულაც მეორე იქნება, ვინც „სრულიად ინგლისის ჩოგბურთის კლუბის" კორტებზე ზედიზედ 5-ჯერ მოახერხებს გაჩემპიონებას.

ფედერერი ტრადიციულად უიმბლდონის უპირობო ფავორიტია, მაგრამ ახლა წინა წლებთან შედარებით მაინც ცოტა სხვანაირი მდგომარეობაა — აქამდე შვეიცარიელი საიუმბლდონო მზადებას გერმანულ ჰალეობაზე გადიოდა, სადაც პარიზის თიხას ჩამოიბერტყავდა და ბალახსაც ეგუებოდა ხოლმე. „მხიარულმა როჯერმა" ერთგვარი გამარჯვების ფორმულაც კი გამოიგონა — ჯერ ჰალეში ხურდებოდა და მერე უიმბლდონსაც ზედ აყოლებდა. ამ ხერხით ფედერერმა ჩოგბურთში არსებულ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე ოთხჯერ იჩემპიონა, მაგრამ წლეულს ამ გზას რატომღაც გადაუხვია და გერმანიაში ჩასვლას მშობლიურ ალპებში დასვენება ამჯობინა.

ამიტომ ფედერერის სათამაშო ფორმა გარკვეულ კითხვებს ბადებს. ჯერ ერთი, რომ შვეიცარიელი ამ სეზონში ისედაც ვერ არის ჩვეულად დომინანტური, რაც თუნდაც შუა გაზაფხულზე ამერიკულ მასტერსებზე მისი უხეირო თამაშით დამტკიცდა. ხოლო ახლა ბალახზე სრულიად უთამაშებელი ალპელი როგორ დაიწყებს უიმბლდონზე ჩოგნის ქნევას, ძალიან საინტერესოა. ამიტომაც იმის შანსი ნამდვილად არსებობს, რომ ადრეწრეებში რომელიმე შლეგი გამოტყვრეს და „ფრიადოსნობაზე" დაგეშილი ფედერერი ლონდონიდან დაიფრინოს. ასეთი შეიძლება მარატ საფინი აღმოჩნდეს, რომელსაც როჯერი შეიძლება მესამე წრეში გადაეყაროს. მეორეს მხრივ კი, თავის ეპარქიაში მოთამაშე შვეიცარიელმა მეორე სათამაშო კვირას თუ მიაღწია, მერე საეჭვოა, მისი გამკავებელი ვინმე მოინახოს.

ფედერერის მთავარ მეტოქეებად ისევ ენდი როდიკსა და ლეიტონ ჰიუიტს ასახელებენ და ამათგან ელიან შვეიცარიელის ბოგინის ალკვეთას.

ამ ორიდან განსაკუთრებულად ამერიკელი არტილერისტი უმიზნებს ფედერერის ტახტს და ჯიმი კონორსის დარიგეგებით შეგულიანებული პირდაპირ აცხადებს, შვეიცარიელს თუ გადავეყარე, აუცილებლად მოვერევიო.

ენდი-ბოი მართლაც არ უჩივის ფორმას — ეს მან ერთი კვირის წინაც დაამტკიცა, როცა წინასაიუმბლდონო ტრადიციულ ქუინსურ სტელაარტუობაზე საკმაოდ ომახიანად გაიჯლიგინა კარიერაში მეოთხე იქაურ ტიტულამდე. მოკლედ, როდიკმა ყველას დაანახვა, რომ წლეულს ეცდება სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეს და აქამდე არაერთხელ ნათქვამი კორტზე აასრულოს.

ცოტა განსხვავებული მდგომარეობაა ლეიტონ ჰიუიტთან დაკავშირებით. საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ წლეულს აქა-იქ მოვკარით თვალი ძველებურ ჰიუიტს — კორტზე ჩვეული სიკისკასით მოძრავსა და უკანა ხაზიდან მძლავრად მოთამაშეს. ორიოდ კვირის წინ გასრულებული „როლან გაროსის" შემდეგ ოზი ბიჭის საიუმბლდონო შანსებს ეჭვქვეშაც არავინ აყენებდა და ფედერერის მთავარ მეტოქედაც სწორედ ის განიხილებოდა, იმდენად შთამბეჭდავი იყო ავსტრალიელი თავისთვის საძულველ თიხაზე. მაგრამ იმავე სტელაარტუობაზე მწვანე კონტინენტის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ სტაბილობის მხრივ მას კვლავაც ძალიან დიდი პრობლემები აქვს. ჰიუიტმა ქუინსში პირველივე წრეში წააგო და იმის შემდეგაა, ავსტრალიელზე ცოტა ფრთხილად რომ საუბრობენ.

მაგრამ არის ერთი კაცი, რომელსაც იმავე როდიკ-ჰიუიტისგან განსხვავებით, არანაირი მოწიწება არ აქვს ფედერერის სახელისადმი. რა თქმა უნდა, რაფაელ ნადალს ვგულისხმობთ, რომელიც შვეიცარიელს ნამდვილ კოშმარად ექცა. ესპანელი ჯადობიჭი დღესდღეობით ალბათ ერთადერთი მეჩოგნეა, ფედერერს როგორც ტოლ-სწორს, ისე რომ უყურებს. შთაბეჭდილება იქმნება, რომ მალიორკელი ყოველთვის უმატებს ხოლმე „მხიარულ როჯერთან" შეხვედრისას — რაფასთვის ფედერერთან დაპირისპირება ისეთი გამოწვევაა, რომელიც ესპანელს აიძულებს, საკუთარი თამაში ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე ასწიოს.

კი ბატონო, ნადალს ბალახი მაინცდამაინც არ ეხატება გულზე, მეტიც, სძულს ამ საფარზე თამაში. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ესპანელი ვუნდერკინდისთვის, შარშან უიმბლდონის ფინალში გამძვრალიყო და არც იქ შეურცხვენია თავი. ასე რომ, ესპანელს ხელეწიფება ამ საფარზე ჩოგნაობა, აქედან კი გამარჯვებაზე ფიქრიც არ არის შორს.

ნადალისა სჯერა უიმბლდონზე გაჩემპიონებულ ბოლო ესპანელ მანუელ სანტანას. დონ მანუელმა ლონდონში 41 წლის წინ იხეირა და ახლა სწამს, რომ რაფა შეძლებს ესპანეთის კიდევ ერთხელ გახარებას:

„რაფას უკვე წელს შეუძლია უიმბლდონის მოგება. უკანა ხაზზე ის ისედაც გაუვალია, წლეულს კი ბადესთან თამაშიც უკეთესად გამოსდის და არც ფსიქოლოგიურ მზადყოფნას უჩივის. თუ ვინმე შეძლებს ფედერერის გაჩერებას, ეს მხოლოდ ნადალი იქნება".

ხოლო, თუ ნადალის ამოუწურავ ილაჯსა და გასაოცარ სულისკვეთებას გავითვალისწინებთ, ფედერერს მთავარი საფრთხე ალბათ სწორედ ამ 21 წლის ესპანელისგან ელოდება.

კვლავ უიმედოდ ხვდებიან დამდეგ უიმბლდონს მასპინძლები, რომლებსაც მას შემდეგ, რაც 72 წლის წინ აქ ფრედ პერიმ იმარჯვა, თავისიანის ტრიუმფის ხილვა არ ღირსებიათ. ჯერ ერთი, ძველის აჩრდილიღაა ტიმ ჰენმანი, რომელმაც წლეულს თავისი პირველი თამაში მხოლოდ ხუთიოდ დღის წინ გამარჯვება — ამიტომაც ამ ვეტერანის შანსებზე საუბარი თქვენთვის მოგვინდვია. ბრიტანელთა მთავარ იმედად მიჩნეული ენდი მიურეი კი თვენახევარია, კორტზე არ გასულა და წარმოდგენაც ძნელია, ახლა რა ფორმაშია.

**ბაჩა ლომაშვილი**

## უიმბლდონის ჩემპიონები 1961 — 2006

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1961 | როდ ლეივერი | 1973 | იან კოდეში — ალექსანდრე მეტრეველი 6:1, 9:8, 6:3 | 1983 | ჯონ მაკინროი | 1995 | პიტ სამპრასი |
| 1962 | როდ ლეივერი | | | 1984 | ჯონ მაკინროი | 1996 | რიჩარდ კრაიჩეკი |
| 1963 | ჩაკ მაკინლი | | | 1985 | ბორის ბეკერი | 1997 | პიტ სამპრასი |
| 1964 | როი ემერსონი | 1974 | ჯიმი კონორსი | 1986 | ბორის ბეკერი | 1998 | პიტ სამპრასი |
| 1965 | როი ემერსონი | 1975 | არტურ ეში | 1987 | პატ კეში | 1999 | პიტ სამპრასი |
| 1966 | მანუელ სანტანა | 1976 | ბიორნ ბორგი | 1988 | სტეფან ედბერგი | 2000 | პიტ სამპრასი |
| 1967 | ჯონ ნიუკომბი | 1977 | ბიორნ ბორგი | 1989 | ბორის ბეკერი | 2001 | გორან ივანიშევიჩი |
| 1968 | როდ ლეივერი | 1978 | ბიორნ ბორგი | 1990 | სტეფან ედბერგი | 2002 | ლეიტონ ჰიუიტი |
| 1969 | როდ ლეივერი | 1979 | ბიორნ ბორგი | 1991 | მიხაელ შტიხი | 2003 | როჯერ ფედერერი |
| 1970 | ჯონ ნიუკომბი | 1980 | ბიორნ ბორგი | 1992 | ანდრე აგასი | 2004 | როჯერ ფედერერი |
| 1971 | ჯონ ნიუკომბი | 1981 | ჯონ მაკინროი | 1993 | პიტ სამპრასი | 2005 | როჯერ ფედერერი |
| 1972 | სტენ სმიტი | 1982 | ჯიმი კონორსი | 1994 | პიტ სამპრასი | 2006 | როჯერ ფედერერი |

## უიმბლდონი 2007. ბალახი. საპრიზო 11 282 710 J

# ჟუსტინი, მაშა, ამელი, შავი დები და სერბები

**ვინაიდან** ქალთა ჩოგბურთში „ფედერერის ფენომენი“ არ არსებობს, აქ რომელიმე ერთი და კონკრეტული ფავორიტის გამოყოფა დიდად გაჭირდება. სწორედ ამიტომ, საქმეში ჩახედული ხალხი ხუთ-ექვს ჩოგნის მქნეველს ასახელებს, რომლებსაც სხვებზე მეტი პრეტენზია და ამბიცია აქვთ უიმბლდონური ჯილდოს ზეალსამართად.


AFP

ამელი მორესმო

ფავორიტთა ჯგუფიდან პირველ რიგში ჟუსტინ ენინი უნდა გამოვყოთ — ჭინკა ბელგიელი ალბათ ყველაზე ახლოს არის „ქალთა ფედერერობასთან“, რადგან ის, ბოლო წლებია, სტაბილურად ყველა მეტ-ნაკლებად ბობოლა ტურნირის მოგების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია. სხვა ნებისმიერ სლემტურნირზე საუბრისას ფავორიტთა სიის ჩამოთვლას ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე სწორედ ამ ბელგიელით დავიწყებდით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ენინს ყველაზე მეტად სწორედ ბალახზე არ უყვარს თამაში. ამის გამოა, ჟუსტინს „დიდი სლემის“ ოთხეულიდან უიმბლდონი რომ დარჩა მოსაგები.

თუმც ჟუსტინმა ბალახსაც აუღო ალღო და წლეულს, მინიმუმ, შარშანდელის გამეორებას ეცდება — აქვე შეეგახსენებთ, რომ მან ერთი წლის წინ უიმბლდონზე ფინალს უწია. ყველაფერთან ერთად ენინი ახლა გასაოცრად დაგეშილი გახლავთ ტიტულებზე — როლანგაროსობის მეოთხედ მოგებისა და ცოტა ხნის წინ ოჯახთან შერიგების შემდეგ ბელგიელი ლონდონში გასამარჯვებლად ყველაფერს გაიღებს. აკი თქვა კიდეც ორიოდ დღის წინ:

„ძალიან მინდა უიმბლდონის მოგება, რადგანაც მას ოჯახს მივუძღვნიდი. მათი ბედნიერი სახეების დანახვაზე სასიამოვნო კი ამქვეყნად სხვა არაფერია“.

ერთი ეგაა, რომ ლონდონში ბლომად მოიძებნება ისეთი ხალხი, ენინის ამ სურვილის ასრულებას წინ რომ გადაუდგება. ასეთი პირველ რიგში აქ სამი წლის წინ გამარჯვებული და იმის შემდეგ შოუ-ბიზნესის მრავალმილიონიან სფეროდ გადაქცეული მარია შარაპოვა იქნება. რუსი პრიმა პირდაპირ აცხადებს, ახლა საკმარისი გამოცდილება დამიგროვდა ჩემს საყვარელ ტურნირზე კიდევ ერთხელ რომ ვიხეიროო.

უიმბლდონი მაშას საყვარელი ტურნირი რომ არის, ეჭვი არც არავის ეპარება — შარაპოვას ლონდონში ნახევარფინალზე ადრე არასოდეს წაუგია და, სავარაუდოდ, არც წლეულს უნდა გაუჭირდეს ამ ეტაპამდე მისვლა. მით უმეტეს, რომ მაშა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პირველად ითამაშებს ტრავმის გარეშე, რაც მისთვის უეჭველად დიდი შვება იქნება. ყველაფერთან ერთად შარაპოვა არც სათამაშო ფორმას უჩივის — მარტო ის რად ღირს, რომ რუსმა თავისთვის აგრერიგად საძულველ პარიზულ თიხნარზე ნახევარფინალს უწია. ერთი კვირის წინ კი შარაპოვამ ყველას დაანახვა, რომ მას არც ბალახზე გვარიანად ჩოგნაობა დავიწყებია — ბირმინგემში მხოლოდ ფინალში წააგო.

შარაპოვა ფავორიტთა შორის კი არის, მაგრამ თუ გამარჯვებას სერიოზულად უმიზნებს, მაშინ იმ უხიაგი ტენდენციის დავიწყება მოუწევს, რაც ბოლო პერიოდია, მის თამაშში შეიმჩნევა — რუს პრიმას რატომღაც ყურების ნაადრევად ჩამოყრა დასჩემდა, მაშინ, როცა ჩოგნაობა არ მისდის. ამის დასტურად წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი და იმავე „როლან გაროსის“ ნახევრფინალი გამოდგება, სადაც შარაპოვას აქამდე ბევრჯერ ნაქები ბრძოლისუნარიანობა სადღაც გაქრა. ასეთ რამეს რუსს არც ლონდონში აპატიებენ.

დიდი ამბიციებით ჩადის ინგლისის დედაქალაქში მოქმედი ჩემპიონი ამელი მორესმოც, რომელიც ბოლო დღეებია, ხმამაღლა გაიძახის, ტიტულის შენარჩუნებაზე ნაკლებს არაფერს დავთანხმდებიო. თუმც მხარბეჭიან ფრანგს შეუძლია, რაც უნდა, ის იძახოს — ფაქტია, რომ წლეულს გახშირებული ტრავმების გამო მას სერიოზულად არავინ აღიქვამს. მეორეს მხრივ კი ამელის შარშანაც ასე აგდებულად უყურებდნენ, ის კი ადგა და ტიტულამდე შეუჩერებლად იფრინა.

რატომღაც ისევ მეორეხარისხოვან როლებში გამოჰყავთ შავდა უილიამსები. ამერიკელი ბაყბაყდევები კარგა ხნის შესვენების შემდეგ ერთად პირველად ჩავიდნენ ლონდონში და ამის აღსანიშნავად წყვილებში თამაშიც გადაწყვიტეს. ისინი წლეულს ერთეულებშიც და წყვილებშიც მხოლოდ ტიტულს უმიზნებენ, მით უმეტეს, რომ ამის გამოცდილება უკვე აქვთ — ერთეულებში ვინუსი ხომ სამგზის (2000, 2001, 2005 წლები), სერენა კი ორგზის (2003, 2004) გამარჯვებულია, წყვილებში კი მათ ორჯერ (2000, 2002) უჩემპიონიათ.

სწორედ ამიტომ მათი შეუფასებლობა არ ეგების — რამდენი ხნის უთამაშებლებიც არ უნდა იყვნენ, უილიამსებმა საქმით არაერთხელ დაამტკიცეს, რომ ყველაგან ხელეწიფებათ ჩემპიონობა. თუნდაც წლევანდელი ამბავი გავიხსენოთ, როცა სერენას ავსტრალიაში თავიდან ყველა საქილიკოდ იგდებდა, უმცროსი და კი ადგა და მთელი ტურნირი ერთი ამოსუნთქვით გაიარა, ფინალში კი შარაპოვასგან სველი წერტილიღა დატოვა. ან ვინუსის შარშანწინდელი გმირობა რად ღირს აქვე, უიმბლდონზე, როცა უფროს უილიამსს ორგანიზატორებმა მხოლოდ ძველი დამსახურებებისთვის „გადაუგდეს“ განთესვისას მე-12 ნომერი, ვინუსმა კი ტურნირი ისევე იოლად მოიგო, როგორც თავის საუკეთესო წლებში. ამიტომაც დები დამსახურებლად იკავებენ ადგილს ტურნირის ფავორიტთა შორის და საწყის წრეებს თუ გადაურჩნენ, მერე არც ენინის სურვილები და არც შარაპოვას კარგი სათამაშო ფორმა ემახსოვრება ვინმეს.

აღნიშვნის ღირსნი არიან სერბებიც — ანა ივანოვიჩი და ელენა იანკოვიჩი, რომლებმაც ორი კვირის წინ „როლან გაროსული“ წარმატებებით მთელი საჩოგბურთო სამყარო აალაპარაკეს.

ივანოვიჩმა პარიზში ბრწყინვალედ კი იროგნავა, მაგრამ ანას სჯერა, რომ უიმბლდონზეც არანაკლებ შედეგს მიაღწევს — 20 წლის ბალკანელი ამტკიცებს, ჩემი თამაში ბალახს უფრო შეესაბამებაო.

აი, იანკოვიჩი კი შედეგებით აჩვენებს ყველას თავის სიძლიერეს. ელენამ ბირმინგემში გამარჯვებით (თან ფინალში შარაპოვას მოუგო) თავის ამბიციებზე საქმით განაცხადა. ხოლო ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშის ნახევარფინალში გასვლით იანკოვიჩმა სეზონში 50-ე გამარჯვება მოიპოვა და პირველი ჩოგბურთელი გახდა ლეგენდარული კრის ევერტის შემდეგ, ვინც სეზონში ასე ადრეულად მოახერხა ამდენი მოგების დაგროვება. ამ მაჩვენებლით სერბმა თვით მარტინა ნავრატილოვასაც აჯობა. ამიტომაა ეს ბალკანელი. ორგანიზატორებმაც სათანადოდ რომ დააფასეს და განთესვისას მესამე ნომერი არგუნეს.

**ბაჩა ლომაშვილი**

## უიმბლდონის ჩემპიონები 1961 — 2006

| | | | |
|---|---|---|---|
| 1961 --- ანჯელა მორტიმერი | 1972 ------- ბილი ჯინ კინგი | 1983 - მარტინა ნავრატილოვა | 1995 ----------- შტეფი გრაფი |
| 1962 --- კარენ ჰანც სუსმანი | 1973 ------- ბილი ჯინ კინგი | 1984 - მარტინა ნავრატილოვა | 1996 ----------- შტეფი გრაფი |
| 1963 ------- მარგარეტ სმიტი | 1974 ---------- კრის ევერტი | 1985 მარტინა ნავრატილოვა | 1997 -------- მარტინა ჰინგისი |
| 1964 ------------ მარია ბუენი | 1975 ------- ბილი ჯინ კინგი | 1986 მარტინა ნავრატილოვა | 1998 ----------- იანა ნოვოტნა |
| 1965 ------- მარგარეტ სმიტი | 1976 ---------- კრის ევერტი | 1987 მარტინა ნავრატილოვა | 1999 -- ლინდსი დევენპორტი |
| 1966 -------- ბილი ჯინ კინგი | 1977 ------ ვირჯინია უეიდი | 1988 ----------- შტეფი გრაფი | 2000 -------- ვინუს უილიამსი |
| 1967 -------- ბილი ჯინ კინგი | 1978 მარტინა ნავრატილოვა | 1989 ----------- შტეფი გრაფი | 2001 -------- ვინუს უილიამსი |
| 1968 -------- ბილი ჯინ კინგი | 1979 მარტინა ნავრატილოვა | 1990 მარტინა ნავრატილოვა | 2002 ------- სერენა უილიამსი |
| 1969 ------ ენ ჰეიდონ ჯონსი | 1980 - ივონ გულაგონგ კოული | 1991 ----------- შტეფი გრაფი | 2003 ------- სერენა უილიამსი |
| 1970 მარგარეტ სმიტ კორტი | 1981 -- კრის ევერტ ლოიდი | 1992 ----------- შტეფი გრაფი | 2004 ---------- მარია შარაპოვა |
| 1971 ------ ივონ გულაგონგი | 1982 მარტინა ნავრატილოვა | 1993 ----------- შტეფი გრაფი | 2005 -------- ვინუს უილიამსი |
| | | 1994 --- კონჩიტა მარტინესი | 2006 --------- ამელი მორესმო |

## ქალების ბადე

1/32 1/16 1/8 1/4 1/2

ენინი (1) — კრავერო
ბაჟინსკი — დუშევინა
სუნი — ლუა
პუჩკოვა (30) — ვესნინა
ა. ბონდარენკო (24) — კრეიბასი
ბირნეროვა — ხუავაი
პარკლროუდი — ვინჩი
შნიდერი (15) — პინი
ჰანტუხოვა (10) — პავლუჩენკოვა
კამერინი — ლიხოვცევა
გრონეფელდი — ოზიგოვიჩი
სრებოტნიკი (19) — ბალტაჩა
სტოსური (27) — ბრანდი
შრუფი — სექუერა
მოლიკი — როდიონოვა
ს. უილიამსი (7) — დომინგეს ლინო
იანკოვიჩი (3) — კეტავონგი
შონესი — გაიდიშოვა
დულკო — დანილიდუ
შაფაროვა (25) — ონდრაშკოვა
ბარტოლი (18) — პენეტა
არნი — გოვორცოვა
კანეპი — მალეკი
პირი (16) — ტანასუგარნი
ჰინგისი (9) — კევედო
ნაკამურა — სუხა
ა. ვოზნიაკი — გრენვილი
ბამერი (20) — ლეპშენკო
კრაიჩეკი (31) — ობზილერი
კლოზელი — ობრაიენი
კუტუზოვა — პუჩეკი
ჩაკვეტაძე (8) — კერბერი
ივანოვიჩი (6) — ჟინკი
ტუ — გალოვიცი
პერი — რეზაი
შიავონე (29) — კრემერი
მედინა გარიგესი (22) — რუანო პასკუალი
გალიარდი — პერებინისი
მირზა — შვედოვა
პეტროვა (11) — კინგი
ვაიდიშოვა (14) — კნაპი
პრატი — დელაკუა
აზარენკა — კოსტანიჩი
გარბინი (21) — იანი
სანტანჯელო (28) — მორიტა
ქ. ვოზნიაკი — იაკიმოვა
რაზანო — მოისბურგერი
მორესმო (4) — ჯექსონი
კუზნეცოვა (5) — ვაკულენკო
მატეკი — ბარდინა
პირონკოვა — რადვანსკა
მიულერი (32) — სმაშნოვა
გოლოვინი (17) — პსი
პაჟეკი — ზაპლავოვა
კასტანო — ბენეშოვა
დემენტიევა (12) — დეში
საფინა (13) — ქ. ბონდარენკო
მორიგამი — ბრიანტი
პენგი — შრომოვა
ვ. უილიამსი — კუდრიავცევა
სუგიამა (26) — საუტი
კირილენკო — კორნე
ბრემონი — ბიჩკოვა
შარაპოვა (2) — ჩანი



AFP ლონდონიდან

# გვატემალაში რუსები სიურპრიზებით მიდიან

## მარია შარაპოვა სოჭის კანდიდატურას ლონდონიდან უქომაგებს

**სოჭი** 4-7 ივლისს გვატემალაში გასამართი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 119-ე სესიისთვის, სადაც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა გაირკვევა, მრავალ სიურპრიზს ამზადებს.

„გვატემალაში ჩვენი აღიარებული და საყვარელი სპორტის ვარსკვლავები ბლომად შემოგვიერთდებიან. თუ ვინ იქნებიან ისინი, ეს ჯერ საიდუმლოა, მაგრამ ჩვენ რაღაც ისეთს მოვამზადებთ, რაც ოლიმპიურ ოჯახზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს. ჩვენ საუკეთესო სახით წარმოვადგენთ ასევე საუკეთესოდ მომზადებულ განაცხადს, რაც ზამთრის ოლიმპიური თამაშების მისაღებად რუსეთის მხურვალე სურვილს გამოხატავს". თქვა ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე „სოჭი 2014"-ის საგანაცხადო კომიტეტის მეთაურმა დმიტრი ჩერნიშენკომ.

ამ პრესკონფერენციაზე სოჭის ოლიმპიური განაცხადის ელჩის როლში მყოფმა ჩოგბურთის ვარსკვლავმა მარია შარაპოვამ თავის მხრივ დასძინა, რომ უიმბლდონის ტურნირზე ბრძოლების გამო გვატემალაში ვერ ვიქნები, მაგრამ გპირდებით, რომ იმ დღეს მატჩს მოვიგებ და ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევას ტელევიზორში ვუყურებო.

შეგახსენებთ, რომ გვატემალაში ჩასვლა განუზრახავს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსაც.

„ვიმედოვნებთ, რომ ვლადიმერ პუტინი არა მხოლოდ ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევნებს დაესწრება, არამედ მონაწილეობას მიიღებს ჩვენს პრეზენტაციაშიც, რაც ყველას აჩვენებს რუსეთის სერიოზულ ოლიმპიურ ზრახვებს „თეთრი ოლიმპიადის" პირველად მასპინძლობისთვის" — თქვა დმიტრი ჩერნიშენკომ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# არაბებმა ოლიმპიადა მოისურვეს


შეიხი ტამიმ ბენ ჰამად ალ ტანი

**ყატარს** ბოლო წლებში დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების გამართვის გამოცდილება დაუგროვდა. შარშან ამ ქვეყნის დედაქალაქ დოჰაში სპორტის საზაფხულო სახეობებში აზიის მეთხუთმეტე თამაშებიც კი გაიმართა. ყოველივე ამან დოჰელებს სალერღელი აუშალა და ახლა 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზეც ფიქრობენ. ამის თაობაზე ყატარის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა და ამ ქვეყნის ემირის მოადგილემ შეიხ ტამიმ ბენ ჰამად ალ ტანიმ განაცხადა. დოჰელებმა საკონკურსო განაცხადის მოსამზადებლად სპეციალური კომისიაც შექმნეს, მის თავმჯდომარედ კი ჰასან ალი ბენ ალი დანიშნეს.

იმ შემთხვევაში, თუ დოჰა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი გახდება, იგი იქნება პირველი არაბული ქალაქი, რომელიც ოლიმპიადას მიიღებს.

ეტყობა, ყატარელთა კონკურენტები ამ საქმეში იქნებიან: ტოკიო, მადრიდი, რომი, ჩიკაგო და ბაქო, რომლებიც ასევე 2016 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ იღწვიან.

შეგახსენებთ, რომ ამ ქალაქთაგან ოლიმპიური თამაშები უკვე ჩატარებულა ტოკიოსა და რომში. სხვადასხვა დროს ამას ცდილობდნენ მადრიდი და ჩიკაგო, ხოლო ბაქო ამგვარ ბრძოლაში სრულიად გამოუცდელია.

ასეა თუ ისე, 2016 წლის ოლიმპიადის მსურველებმა განაცხადები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში წლეულს 13 სექტემბრამდე უნდა წარადგინონ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ყოველი მეორე დოპინგზე შემოწმდეს!


ჟაკ როგი

**2012 წლის** ლონდონის ოლიმპიური თამაშებამდე ჯერ საკმაო დრო და პეკინის ოლიმპიადაა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცები, რომელთაც დოპინგის ალმოფხვრა ამოუჭრიათ გულში, აქედანვე იჭერენ თადარიგს.

სოკ-ის ბელგიელმა პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ჟურნალისტებთან საუბარში ბრძანა, რომ ლონდონის თამაშებზე 5 ათასი დოპინგ-ანალიზი იქნება აღებული, ანუ შემოწმებას ყოველი მეორე სპორტსმენი გაივლის.

ცნობისთვის, 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე 3700 დოპინგ-ტესტი აიღეს, გაისად პეკინში ეს რიცხვი 4500 იქნება და ლონდონისთვის კიდევ ათი პროცენტით მოიმატებს.

# ირანმა ამერიკა იუარა

**ირანელებმა** უარყვეს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება, ოკეანისგაღმა პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადების თაობაზე. „ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უწყებამ თავი შორს დაიჭირა აშშ-სა და ირანის ოლიმპიური კომიტეტების თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისგან" — განაცხადა ირანის ოლიმპიური კომიტეტის მეთაურმა რეზა კარაჰანლუმ. ამასთან, მან არ განმარტა უარის მიზეზები, მაგრამ მიუთითა, რომ ამგვარი ნაბიჯი რომელიმე ოლიმპიურ ფედერაციასთან ურთიერთთანამშრომლობის შეწყვეტას არ ნიშნავს.

„თითოეულ წინადადებას განვიხილავთ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება მისი განხორციელება" — დასძინა რეზა კარაჰანლუმ.

აპრილში ის ირანელი სპორტსმენები, რომლებსაც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მედლების მოპოვების მეტ-ნაკლები შანსი აქვთ, ამერიკაში მოსამზადებლად მიიწვიეს. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა როგორც ამერიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა, ისე სახელმწიფო დეპარტამენტმა. ამ ინიციატივის რეალიზების შემთხვევაში ეს ორი ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტებს შორის თანამშრომლობის პირველი ფაქტი იქნებოდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ჯერ დააკლეს, ახლა უმატებენ

**გვატემალაში** გასამართ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 119-ე სესიაზე 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევნების გარდა სპორტის ოლიმპიური სახეობების ფედერაციათა რაოდენობის გაზრდაზეც იმსჯელებენ. გაისად პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ასეთი 28 ფედერაცია იქნება, მაგრამ სოკ-ის 117-ე სესიაზე, რომელიც 2005 წელს სინგაპურში გაიმართა, 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ბეისბოლი და სოფტბოლი ამოიღეს. მაშინ თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ამ სახეობებს ხუთიდან (სქვოში, გოლფი, კარატე, შეიდკაცა რაგბი და გორგოლაჭებით რგოლა) ერთ-ერთი შეცვლიდა, თუმცა სოკ-ის წევრებმა ამ საქმეს კენჭი იმგვარად უყარეს, რომ ოლიმპიური სტატუსი ვერც ერთმა ვერ მიიღო.

ახლა, გვატემალაში გასამართ სესიაზე კვლავ უბრუნდებიან ამ საკითხს. თავდაპირველად 25 საბაზო ფედერაციას აირჩევენ. ამისთვის თითოეულმა ფედერაციამ ხმების ორი მესამედი უნდა მიიღოს. მერე კიდევ ერთი კენჭისყრა გაიმართება, სადაც საბაზოში ვერმოხვედრილი ფედერაციებიდან კიდევ ხუთს დაასახელებენ, რომლებსაც ცალ-ცალკე სოკ-ის წევრთა ნახევარი მაინც მხარს დაუჭერს.

ამგვარად, 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის 30 სახეობა იქნება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლალო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge